



პირსაქმები



ჩვენს დიასპორას უზარმაზარი ინტელექტუალური და ფინანსური პოტენციალი აქვს

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა დიასპორის ეკონომიკურ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა...

პრემიერის განმარტებით, დადგა დრო, რომ ჩვენმა თანამემამულეებმა საკუთარი პოტენციალი ჩვენი ქვეყნის გასაძლიერებლად მიმართონ...

პრემიერმა უცხოეთში მცხოვრებ ქართული დიასპორის წარმომადგენლებსაც მიმართა და პირობა მისცა, რომ მთავრობა ყველაფერს გააკეთებს...

ხელისუფლება

ვინ გააკონტროლებს უშიშროების საბჭოს?

ვინ გააკონტროლებს ეროვნული უშიშროების საბჭოს – პრემიერ-მინისტრი? ბრძოლა გიორგი მარგველაშვილსა და ირაკლი ლარიბაშვილს შორის ამ საკითხშიც მწვავედგება...

საპარტიო პოლიტიკის ბრძანებით მონარქს ამსახვედა

მისი მონაწილეობა სხდომებში საეკონომიკური ადარუნდა იყოს. გარდა ამისა, იკვეცება საბჭოს მდივნის ფუნქციებიც...

უფრო მეტიც – თუ კანონში შესატანი შესწორებები დამტკიცდება, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის სპიკერის ნებართვის გარეშე...

ოპოზიცია თვლის, რომ უშიშროების საბჭოს ირგვლივ მიმდინარე მოვლენები „არასახელმწიფოებრივი აზროვნების დადასტურებაა“...

სივარტლე კი ასეთია!

ნაცმოძრაობის „პარტიზანული“ რეჟიმის შესახებ

ეს ცალმხრივი დოკუმენტია, რომლის არაფერში არ გამოდგება, აზროვნების ერთ-ერთი ავტორი

„მე რომ საქართველოს მთავრობაში ვიყო ან „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი პარლამენტში, აუცილებლად ვიტყვოდი, რომ ეს „პარტიზანული“, ცალმხრივი რეზოლუციაა“.



ეს განცხადება ევროსაბჭოს მომხსენებელმა მიქაელ ასატრუპი იქნა მიღებული ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების საქმიანობის შესახებ მიღებული რეზოლუციის გამო გააკეთა.

მწელი არ დაეთანხმა ბატონ იენსენს ამ შემოთავაზებაში, მაგრამ საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, თუ როგორ დაჟინებით მუშაობენ ნაციონალური თავიანთი ლობისტებთან...

საზოგადოება ძალიან კარგად ხედავდა, როგორ იმუქრებოდნენ ქართული დელეგაციის წევრები გიორგი კანდელაკი და ჩიორა თაქთაქი შვილი რეზოლუციის საბოლოო ვარიანტის თავიანთ თარგმანში...

„ძალიან მანუხებს, რას იტყვის ქართველი ხალხი ამ რეზოლუციაზე. ისინი იკითხავენ, არის კი ეს ნეიტრალური რაპორტი? მე მესმის მათი და მანუხებს ეს საკითხი, მაგრამ ვიმტობენ, რომ ასე არ იტყვიან. სწორედ ამიტომ იყო აუცილებელი, რომ ჩვენ, ორი მომხსენებელი, მე

და ლატვიელი ბორის სილვესტრი გამოვესულიყავით და გვეთქვა, რომ არ ვეთანხმებით ამ რეზოლუციას“ – აცხადებს ბატონი იენსენი.

ევროპის სახალხო პარტიის და ევროპის დემოკრატიულ ჯგუფის მეთაურობა ნაციონალურ მოძრაობასთან არახალია. დღეს მათ შორის შუამავალი გიორგი კანდელაკია, საქართველოს პარლამენტის წევრი, რომელიც მთელს ძალიანსხმება არაქვეყნის კეთილდღეობას, არამედ ლაღატს ახმარს, ყველანაირი ხერხებით ცდილობს

ხელისუფლებაში მკვლევებისა და მოძალადეების დაბრუნებას და რადგანაც საქართველოს მოსახლეობაში მხარდაჭერას ვერ პოულობს, ევროპელი ლობისტების მშვეობით ცდილობს პოზიციების გაძლიერებას და ქართველი საზოგადოების თავიანთი ლობისტი პოლიტიკოსების მოსაზრებების იმ ჭრილში ჩვენებას, თითქოსდა ეს მთელი ევროპის პოლიტიკური სპექტრის მოსაზრებაა.

„ეს არის ნაციონალური მოძრაობის რეჟიმული. ეს არ არის ჩვენი, ორი მომხსენებლის მიერ მომზადებული დოკუმენტი. მომხსენებლისა, რომელიც ხშირად არის საქართველოში და თვალს ადევნებს მის განვითარებას. არა, ეს არის ევროპის სახალხო პარტიის ანგარიში. ჩემი აზრით, ასეთი დოკუმენტი არაფერში გამოდგება. ის ცალმხრივია“.

სწორედაც რომ ცალმხრივია და ამ ცალმხრივობის შედეგად იქნა მიღებული რეზოლუციის ბოლო ნაწილი, „რომელიც ერთობ ნეგატიური აქცენტებით მთავრდება. ნაციონალური მოძრაობის წევრების დაპატიმრება ჩრდილოეთში ყველა სხვა პოზიტიურ ასპექტს, თუმცა, მე ვერ დავეთანხმები ასეთ მიდგომას. რაშიც ვეთანხმები ნაციონალურ მოძრაობას და რაც აღვნიშნავ კიდევ მოსხენებაში, არის ის, რომ შერჩევითი სამართალი მიუღებელია. მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვანია – თუ კანონი დაარღვევ, მნიშვნელობა არააქვს, ვინ ხარ, თუნდაც ყოფილი პრემიერ-მინისტრი. კანონზე მაღლა არავინ დგას! თუ კანონი დაარღვევ, პასუხიც უნდა აგო!“

აბსოლუტურად მართალს ბრძანებს ბატონი მიქაელ იენსენი და ეს უნდა იცოდნენ როგორც გიორგი კანდელაკმა, ასევე ნაციონალური მოძრაობის თუ მათი ლობისტი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა.

კანონზე მაღლა არავინ დგას და ამ ჭეშმარიტებას ვერანაირი ნაყიდი რეზოლუციები ვერ დაარღვევს.

ალიანსიანი

თარგამაძე იხპ სკოლს!

ბატონი გივი თარგამაძის მორიგი უსაფუძვლო ბრალდების საპასუხოდ, კომპანია „არემჯის“ სახელით, შეგვიძლია, განვაცხადოთ, რომ ჩამოთვლილი პიროვნებების დიდი უმრავლესობა საერთოდ არ მუშაობს ამჟამად არც თავად კომპანიაში, არც მასთან დაკავშირებულ რომელიმე ორგანიზაციაში. ერთადერთი, გივი თარგამაძის სიიდან ბატონი დავით ბალანჩივაძე გახლავთ გენერალური დირექტორის მოადგილე, თუმცა, ნაციონალური მოძრაობის გაგრძელებული ინფორმაცია მისი მე-9 არხში მუშაობასთან დაკავშირებით, არ შეესაბამება სიმართლეს. ნაციონალური მოძრაობა, თავისი ერთ-ერთი ლიდერის მიერ უკვე მეორედ გახმოვანებული არასწორი ინფორმაციით, ხელს უშლის საყდრის-ყაჩაღიანის პრობლემის დროულად და სამართლიანად მოგვარებას.

შეგახსენებთ, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა გივი თარგამაძემ მორიგი ბრძანებით მოახდინა საყდრის-ყაჩაღიანის თემასთან დაკავშირებით, სადაც კიდევ ერთხელ გაავრცელდა ცრუ ბრალდება. მისი განცხადებით: „2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შპს „არემჯი გოლდის“-ის ხელმძღვანელობის ქართულ ნაწილში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. პირველი შემთხვევა კომპანიაში ხუბაშვილ-ნაციონალური ტანდემისგან განიცხადდა, რომელიც ოქტომბრის შემდეგ ბიზნესებს ახალ მთავრობასთან ურთიერთობას „ულაგებდა“. მანვე ჩამოთვალა პიროვნებები, რომლებიც თითქოსდა „არემჯი“ გარკვეული ინტერესების გამო დაასაქმა. როგორც ჩემთვის განვმარტეთ, გივი თარგამაძის მიერ ჩემოთვლილი არც ერთი პიროვნება, გარდა დავით ბალანჩივაძისა, კომპანიაში არ მუშაობს.

ინტერპრესი

„ღმერთმა არ ძნას, ჩვენი ბრძოლა კრახით დასრულდეს! ჩვენი სიტყვები, ალრა თუ გვიან, წინ დახვდება საბარათებელს: ძარბოვანი კულტურა განადგურდება. რა უნდა ვუთხრათ მომავალ თაობას, ან რას ვუპირებთ ეპოქის თაყვანისმცემის, დიმიტრი შვიტკინის, შალვა ამირანაშვილის ხსოვნას?“ – ასეთი მძაფრი გულისტკივილით გამოცხადდა ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლები, ეროვნული მუზეუმის დირექტორის მოადგილის მიხეილ წერეთლის საგაზეთო ინტერვიუს, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკის“ 9 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა.

მართლა იძარცვება თუ არა მუზეუმი? – კითხვა, რომელიც სათაურში გამოვლიტანეთ, რესპონდენტმა გზადაგზა გააქარწყლა, თუმცა, ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ მიხეილ წერეთელი ცრუობს, სიმართლეს მალავს და სიყალბეს ავრცელებს საზოგადოებაში.

ჩვენ შევხვდით ხელოვნების მუზეუმის რამდენიმე თანამშრომელს. ამდენად, ამ ინტერვიუს რეპორტაჟულ ჩანაწერს შემოგთავაზებთ, რომელიც წარმოდგენას შეგიქმნით, რამდენად რადიკალურები არიან ისინი და ვნახავთ, როგორი შეუვალია მათი პოზიცია.



# „მიხეილ წერეთელი ცრუობს!“

ახალი და თანამედროვე ფერწერის კურატორი იზოლდა ქურდაძე და ქანდაკების, კერამიკისა და გამოყენებითი ხელოვნების კურატორი მზია კაციაძე საექსპოზიციო დარბაზებს მათვალისწინებენ. ჭერიდან ჩამოსული წვიმის წყლით გაჟღერებული კედლებში სოკოა მოდებული. ნამუშევრები მიჯრით არის მიწყობილი, არანაირი კონდიციონერა, აქ არაფერი არ სუნთქავს...

– თქვენ ზაფხულში უნდა გენახათ, აქ რა ხდებოდა. საღებავები იღვეთებოდა ნამუშევრებიდან. ჩვენზე არ ვნახვარ, მაგრამ ამ კულტურულ მემკვიდრეობას რა ეშველება. აი, ჩემი ფონდიდან ცნობილი ქართველი მხატვრების საუკეთესო ნამუშევრები წაიღეს. დარჩა და დარჩა იქ... გვეუბნებიან, ეს ხომ ერთი სივრცეაო, – მიყვება ქალბატონი იზოლდა.

– ეროვნულ გალერეაში წაიღეს, იქ კარგი პირობებია და როცა ამ მუზეუმის რესტავრაცია დაამთავრდება, კვლავ უკან დავაბრუნდება.

– როდის დამთავრდება, როცა ჯერ არ დაწყებულა?! დარბაზები დაკეტეს...

– დარბაზები იმიტომ დაკეტეთ, რომ ასეთი სავალალო მდგომარეობა არისო. მართლაცაა, აქ სურათების შენახვა როგორ შეიძლება?

– არ იყო ასეთი მდგომარეობა 2004 წელს, როცა ეროვნულ მუზეუმში გავერთიანდით, მაგრამ 10 წელიწადი როცა ხელს არ ახლებს შენობას, სასურავს არ გამოცვლი, არ შეაკეთებ, აბა, რა მოუვა?! მოვიდნენ თუ არა, დახსნეს კონდიციონერები, ახალი უნდა გავაკეთოთ და 10 წელიწადია, სუნთქვის საშუალება მოსპეს. ნაყური წყლის მილი არა აქვს შენობას და წვიმით პირდაპირ კედლები იჟღინთება. ყველაფერი ეს მიზანმიმართულად ხდება. სურათებიც სპეციალურად გააქვთ აქედან, რომ საბოლოოდ ხელოვნების მუზეუმი მოსპონ.

– რა ბედი ეწევა სურათებს?  
– ეროვნულ გალერეაში წაიღეს და, ალბათ, მისი კუთვნილება გახდება. თუკი მუზეუმი დაიხურება, ექსპონატებს სხვაგან გადაანაწილებენ.

– ყველაფერი მუზეუმს დარჩებაო. გალერეაში გამოფენილი ნახატები დოკუმენტებში ხელოვნების მუზეუმის ბალანსზე აღირიცხებაო.

– არ გვეჯერა. ჩვენთვის არავის უთქვამს, მუზეუმი გარემონტდება და ყველაფერი აქ დარჩებაო. 43 წელიწადია, აქ ვმუშაობ და ასეთ სავალალო დღეში მუზეუმი არასოდეს ყოფილა. გამოცარული უნდა ფონდები. საექსპოზიციო დარბაზები ერთმანეთშია აღრეული... არავინ არაფერს გვეკითხება.

– ნამუშევრების გატანა-შემოტანას გეკითხებიან?

– „გვეკითხებიან“ მაშინ, როცა უკვე გადანაცვლებილია. როცა უნდა შედგეს აქტი და ხელი მოვანეროთ.

– ქალბატონო იზოლდა, თქვენც ხომ კარგად გესმით, რომ მუზეუმის რესტავრაციას ფინანსური რესურსი სჭირდება. თანაც, ბატონმა მიხეილმა აღნიშნა, რომ სხვა გარემონ-

ტებული მუზეუმების მაგალითზე კარგი გამოცდილება მივიღეთ და ხელოვნების მუზეუმს კიდევ უფრო სოლიდურად და ფუნდამენტურად გავაკეთებთო. არსებობს გეგმა...

– ასეთი მძიმე ვითარება არ იყო აქ და სამაგიერო არაფერი სჭირდა ამ მუზეუმს. 10 წელიწადი საკუთარ სახლს ხელი რომ არ შეავლო, ნახეთ, რა მოუვა. შეიძლება, მთელი ეს წლები ასე უპატრონოდ მიდგებულყო კულტურული მემკვიდრეობა? შეიძლება, წლების განმავლობაში მიყარ-მოყარო უძვირფასესი ხელოვნების ნიმუშები ნესტსა და უპაერობაში, რას უნდა ელოდო, საბოლოოდ როდის განადგურდება?!

\* \* \*  
საბანძქურის ფონდის კურატორი ქალბატონი ელენე კაველაშვილი თავის კაბინეტში იმ 87 თანამშრომლის ხელმოწერით წერილს მიჩვენებს, რომელიც ბიძინა ივანიშვილის სახელზე დაიწერა. სულ 90 თანამშრომელია, ეროვნული მუზეუმის დირექციის მართვის სტილით კი 87 უკმაყოფილო და ისინი ხელოვნების მუზეუმის დამოუკიდებლობას მოითხოვენ. მოითხოვენ, მაგრამ ორი წელიწადია, ამოკლ!!!

– უწმინდესი და უნეტარესი ილია II საქმის არსს იცნობს და თანახმაა, ხელოვნების მუზეუმს დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი აღუდგეს. ის ამის თაობაზე ორჯერ შეხვდა ირაკლი ლარიბაშვილს. ამ ზაფხულს ჩვენც უნდა შევხვედროდით პრემიერ-მინისტრს, მაგრამ, რატომღაც ეს შეხვედრა ჩაიშალა...

მიხეილ წერეთელი ინტერვიუში ამბობს, რომ შ. ამირანაშვილი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ითხოვდა შენობის რემონტსო.

შალვა ამირანაშვილი ამ შენობის რემონტს კი არ ითხოვდა, გაფართოების მიზნით, ახალი შენობის აშენება უნდოდა. მაკეტიც კი არსებობდა, თითქოს რიყეზე უნდა აშენებულიყო ხელოვნების მუზეუმი, მაგრამ მისი გარდაცვალების გამო, ეს იდეა იდეად დარჩა. შემდეგ სხვა შენობები შემოვთავაზეს, თუმცა, 2004 წლის გაერთიანებაში არათუ ახალი ააშენა, არამედ არსებული შენობაც კატასტროფამდე მიიყვანა.

**ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელია თუ არა იყო იზოლდა ქურდაძე და მზია კაციაძე?**

1952 წელს სტალინის დახმარებით გადაეცა ეს შენობა ხელოვნების მუზეუმს. აქ არის ყველა შესაბამისი სტანდარტი დაცული და ნაგებობა სრულიად შეესაბამება მასალების მედეგობას, რათა სიძველეების შენახვა შეძლოს.

2004 წელს მუზეუმების გაერთიანებით ფაქტობრივად მივიღეთ შერწყმა. არადა, ამბობდნენ, რომ ფონდებს ხელს არ ახლებდნენ. ის, რაც მუზეუმის მფლობელობაშია, სხვა მუზეუმს არ უნდა გადაეცეს, ეს საერთაშორისო კანონია. როგორც კი ფონდების აღრევა დაიწყება, უნდა ველოდოთ ექსპონატების გადინებას და დაკარგვას. ამას მსოფლიოში არც ერთი მუზეუმი არ უშვებს. ძალიან მინდა, სწორად გაიგოს საზოგადოებამ. ჩვენ არ ვებრძვიტ მუზეუმის დირექციას, ან კონკრეტულ პიროვნებებს, ჩვენ ვებრძვიტ იმ სისტემას, რომელმაც დიდი ზიანი მოუტანა სამუზეუმო სფეროს.

**10 წელიწადი საკუთარ სახლს ხელი რომ არ შეავლო, ნახეთ, რა მოუვა. შეიძლებაო, მთელი ეს წლები ასე უპატრონოდ მიდგებულყო კულტურული მემკვიდრეობა? შეიძლება, წლების განმავლობაში მიყარ-მოყარო უძვირფასესი ხელოვნების ნიმუშები ნესტსა და უპაერობაში, რას უნდა ელოდო, საბოლოოდ როდის განადგურდება?!**

– ქალბატონო ელენე, იქნებ ჩქარობთ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გაერთიანებაში სასიკეთო ცვლილებები მოუტანა ჯანაშიას სახელობის მუზეუმს, ეროვნულ გალერეას, სვანეთის მუზეუმს, სადაც რემონტი გაკეთდა, ხელოვნების მალაღია, გარემო მაღალი სტანდარტების შესაბამისი და ა. შ.

– ვერ დაგეთანხმებით. რამდენი წელი გრძელდებოდა რემონტი – 10 წელი? ან რა არის გამოფენილი ჯანაშიას მუზეუმში? ერთადერთი ოქროს ფონდი დარჩა. ყველა ბაზებს აქირავებენ, რაც დაუშვებელია. „ქარვასლაში“ ქორწილებს იხდიან, ეროვნულ გალერეაში უძვირფასესი ნამუშევრების წინ ადამიანები პოზიორობენ, სურათებს, ვიდეოს იღებენ, რაც ნამუშევრებს აზიანებს და საფრთხის წინაშე აყენებს. ეს არის კულტურის პოპულარიზაცია? რაღაც, არ მგონია!

ცისფერი გალერეის ფონდები დაიცალა და ჩვენს საცავებში შემოიტანეს. 300 კგ. ბრინჯაოს ქანდაკება დაკარგულია. სად წაიღეს, ან ვინ ექებს?! იქიდან ფერწერული ნამუშევრების გატანას აპირებდნენ და უცხოეთში საქართველოს სხვადასხვა სა-

ელჩოში უნდა გამოეფინათ. საბედნიეროდ, ისევ განძისმცველი ღირსეული ადამიანების წინააღმდეგობით ვერ მოახერხეს.

რაც მე აქ ვმუშაობ, ფონდის გადატანა მოხდა სულ რამდენჯერმე, ისიც 3-4, მაქსიმუმ 10 მეტრის მანძილზე. იმწუთში ხატებმა ცვლილება განიცადეს. ჩვენ ფონდებში ექსპონატების ჩაკეტვა არ გვინდა, მაგრამ ასე წინ და უკან თუ ვატარებთ, არც ერთი ნივთი მთელი არ დარჩება.

– ვთქვით, დაიწყეს შენობის რესტავრაცია. არ უნდა მოხდეს ექსპონატების გადაადგილება?

– არსებობს სარესტავრაციო გეგმა, და ამაზე ვრცლად გაგესაუბრებთ ხელოვნების მუზეუმის კონსერვატორი გიორგი მარსაგივილი. მაგალითად, ახლა ფონდები ცარიელია და ნამუშევრები საექსპოზიციო დარბაზებშია გადატანილი. კედლებს ფუნდამენტური რემონტი არ სჭირდება. გარემონტდება საცავები და ნივთები იქ გადავა. ამის მერე შეკეთდება დარბაზები. ფონდსაცავს რაც შეეხება, ნივთებს ხელს არ ვახლებთ, თავისივე კარადებით გადამოვადგილებთ, რემონტის შემდეგ ისევ დავაბრუნებთ. ამის გაგონებაც კი არ უნდათ. რა უნდა ვიფიქროთ ამის შემდეგ? – ჩვენი დასკვნით, აქედან ექსპონატების გატანა არის საბაზი, რათა მუზეუმი დაიცავლოს.

ჯერ ერთი, რატომ დაკეტეს დარბაზები? აქ არ იყო საგანგაშო ვითარება. ხალიჩები დაფენილი, მოფარდაგებული ოთახები გვექონდა, სავე იყო დამთვალიერებელით. მეორე სართულზე ახლაც არის გარემონტებული საგამოფენო დარბაზი. დაკეტილია. ნუთუ, არ შეიძლება ექსპონატები აქ გამოეფინათ? მაგრამ რატომღაც ნებას არ გვრთავენ. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდაო, ხელოვნების მუზეუმს ფუნქცია დაუკარგონ და კატასტროფამდე მიიყვანონ!

\* \* \*  
– მის და რატომ უნდა ხელოვნების მუზეუმის განადგურება, მართალი გითხრაო, არ მესმის, ქართველ კაცს, როგორ შეიძლება ეს უნდოდეს?

გოჩა ლომთაძე (კურატორ-ასისტენტი):  
მოდი, რა, პირდაპირ ვეტყვი. აინტერესებთ ეს შენობა, რომელიც ქალაქის ცენტრში, მიმზიდველ ტერიტორიაზე არის განთავსებული. რომ უყურებთ ამ ქალბატონებს, თავი ჰქონდათ გადადებული გაგდებისთვის, უმუშევრობისთვის, რადგან ეროვნული მუზეუმის დირექციას გადაწყვეტილი ჰქონდა თანამშრომლების გაყრა. იცით, რისთვის შეიქმნა ეროვნული მუზეუმი? – დავით ლორთქიფანიძის საფაშოდ. სამაგიეროდ, ის უსიტყვოდ ასრულებდა ნაციონალების ყველა მითითებასა და დავალებას.

ბიძინა ივანიშვილი წლების განმავლობაში ემხარებოდა ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლებს ფინანსურად. მაშინ, როცა ხელფასი 36 ლარი გვექონდა, 50-ლარიანი დანამატი დაგვინიშნა. როგორც ვიცი, შემდეგ გადანაცვლია, ხელოვნების მუზეუმის ახალი შენობა აეგო. როგორც კი მილიონები ნაციონალების ხელში ჩავირგა, ამათ თავის ნებაზე დაიწყეს განკარგვა. ჯანაშიას მუზეუმი გაარემონტეს და მერე იქ იმართებოდა მათი „სალამოები“. ბიძინა ივანიშვილს საკმარის მძიმე საუბარი ჰქონია დავით ლორთქიფანიძესთან. ეტყობა, გაფანტული და განიავებული მილიონების ბედით დაინტერესდა...

– თუკი ხელოვნების მუზეუმი დამოუკიდებლად გავა, შეძლებთ თუ არა მის გადარჩენას. მოიპოვებთ კი აშხვალა ფინანსებს?

– ჩვენი ძალებით გადავარჩინებ. ჩვენ ბიუჯეტიდან ვიღებთ დაფინანსებას, ეროვნული მუზეუმი კი არ გვაფინანსებს. მუზეუმს კოლოსალური თანხები სულაც არ სჭირდება...

\* \* \*  
**ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლები ამბობენ, რომ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენას ის თანხაც ეყოფოდა, რასაც საჯარო პირები პრემიებისა და დანამატების სახით იღებენ. მეტიც, ამბობენ, რომ მაგალითად, ეროვნული გალერეა 49 წლით არის გაყიდული... ეტყობენ, რომ შეიძლება სხვა მნიშვნელოვანი განმსაჯებელიც გაიყიდოს... მოკლედ, პრეტენზიები არ ელევით. თუმცა, ამაში პირადული და მერკანტილური არაფერია... ამბობენ, რომ ამ ფორმით, ამ გზით და ასეთი რწმენით ქართული კულტურის გადარჩენას ცდილობენ!!!**

თბა მოსია

© პირიპა!



# ამოუკვეთი კვირის ჯაბრის სარქველში ჯიკვლევი?

„ვიცე-მერაბისთვის და-  
ნამატების დანიშნა და ვი-  
ნარმანის გადაწყვეტილება  
არ იყო და ვილატამ უთხრა,  
ეს გაეკეთებინა“, — აცხადებს  
For.ge-სთან საუბარში ექს-  
პერტი გია ხუბაშვილი. მარ-  
თალია, გია ხუბაშვილი არ  
აკონკრეტებს, ვისი რჩევა გაითვალისწინა  
და ვი-ნარმანამ, მაგრამ ამბობს, რომ  
კონკრეტული ადამიანი შესახებ მანაც  
არაფერი იცის. უბრალოდ, ეჭვები გაუჩნ-  
და და ვი-ნარმანის წესიერებიდან გამომ-  
დინარე, ქალაქის მერი სალად მოაზროვნე  
ადამიანი და, გია ხუბაშვილის აზრით, იგი  
ზუსტად დაინახავდა, რომ ახლა ამის გა-  
კეთება არანაირად არ შეიძლება.

**ანუ კაპუტაუთი  
უფუთული  
პრაქტიკა**

ანალოგი არ მიგულის-  
ხმია, მათი ბედი ნამდვი-  
ლად არ მინდა, გაიზიარ-  
ონ, მართლა ძნელია  
ხელფასზე ცხოვრება.  
არავის არ ჰყოფნის, ნუ  
მარტო მათ არ ჰყოფნი-  
თ ხელფასი. პენსიონერებს არ ჰყოფნი-  
თ 150 ლარი პენსია, ძალიან ბევრი ადამიანი  
მზად, 24 საათი იმუშაოს, მაგრამ არ  
არის სამუშაო“, — აცხადებს გია ხუბაშ-  
ვილი.

ამასთან, განმარტავს, რომ დანამატის  
არაფანსალი თემა ართულებს სისტემას  
და მანიპულაციის საშუალებას ტოვებს.  
მისი თქმით, მთლიანობაში, სამი ტიპის  
ხარჯი უნდა არსებობდეს ნებისმიერ  
სტრუქტურაში, პირველია ხელფასი,  
შემდეგ — პრემია და სამიველივე თუ  
მიმოქცევის ხარჯები (ბენზინი, სასტუმ-  
როს ხარჯები).

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში  
იოსებ არჩვაძე For.ge-სთან საუბარში  
იზიარებს მოსაზრებას, რომ დანამატის  
ცნება მას შემდეგ შემოიტანეს, რაც მა-  
ლალი პრომიტიკა გაეცხრა საზოგადოე-  
ბის ნეგატიური განწყობა გამოიწვია.  
სწორედ ამის შემდეგ შეეცადნენ, კაპუტ-  
აუთი გაეკეთებინათ. სინამდვილეში, რა  
თქმა უნდა, ეს დანამატიც პრემიალური  
ფორმისაა და მნიშვნელობა არ აქვს, რა  
სახელწოდებას მოუგონებენ.

„ეს არის შეფუთვა პრემიის. ერთი დი-  
დი ფუტურისტი წერდა მე-19 საუკუნე-  
ში, ჩვენ შეგვიძლია კიბისა ჯაგროსი  
ძუღუმწოვართა კლასს მივაკუთვნოთ,  
მაგრამ ამით მას სარქველში ჯიკვლევი არ  
გამოუვაო. დაახლოებით ესეც იგივეა. რა  
სახელიც არ უნდა დავარქვათ, შინაარ-  
სობრივად ეს არის პრემიალური დანა-  
მატი. 24-საათიანი მუშაობის არგუმენტი  
იმ პირობებში, როცა უმუშევართა  
უზარმაზარი არმია და ლეგიონი დგას  
შრომის ბირჟის კარზე და მზად არიან,  
მუშაობა დაიწყონ, ნიშნავს, რომ ეკონო-  
მიკური პოლიტიკა შრომის ბაზრის მი-  
მართ შორს არის ოპტიმალურისგან.  
ასეთ პირობებში მმართველობის აპა-  
რატს (მარტო მერია არ მყავს მხედვე-  
ლობაში) საყვედურით ეკუთვნის, რატომ  
ხდება, რომ მისი ერთი მცირე ნაწილი,  
24-საათიან რეჟიმში დასაქმებული და  
დანარჩენებს აქვთ სურვილი, შესაძლებ-  
ლობა, პოტენციალ და თავიანთი უნარის  
რეალიზაციის საშუალებას ვერ ნახულო-  
ბენ“, — აცხადებს იოსებ არჩვაძე.

ამასთან, ექსპერტი განმარტავს, რომ  
უცხოეთში სახელმწიფო სამსახურში მუ-  
შაობა სოციალურად პრესტიჟულად  
ითვლება, თუმცა, სახელმწიფო სამსახურ-  
ში უმუშევრობის ნაკლებ პრესტიჟულია  
ეკონომიკურად. იქ ვისაც მეტი შემოსავ-  
ლის მიღება და პირადი კეთილდღეო-  
ბის უზრუნველყოფა სურს, მიდის კერძო  
სექტორში. საქართველოში კი პირიქე-  
თაა, საჯარო სექტორი გახდა ორმხრი-  
ვად პრივილიზირებული — მაღალი  
ანაზღაურებით და მაღალი სოციალური  
დაცულობით, რაც არ არის მთლად ნორ-  
მალური პროცესი.

მანანა ნოზაძე

© ფასეაბი

# რამ გააქვირა ქართული პროდუქტი?

**„გუშინდელი 1 ლარი  
არასოდეს არ უდრის  
ხვალინდელ 1 ლარს“**

„საბსტიტუტმა“ წლიური ინფლაციის ახალი მაჩვენებლე-  
ბი გამოაქვეყნა, საიდანაც ჩანს, რომ მიმდინარე წლის სექ-  
ტემბერში, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარე-  
ბით, ინფლაციის დონე 4,8%-ით გაიზარდა. სტატისტიკუ-  
რი მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 2011 წლის ამავე პერიო-  
დის შემდეგ ყველაზე მაღალია. 1,2%-ით არის გაზრდილი  
ინფლაცია აგვისტოსთან შედარებითაც. იმავე „საქსტა-  
ტის“ ინფორმაციით, წლიური ინფლაციის მაჩვენებელზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების  
ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები — ამ ჯგუფზე ფასები გა-  
იზარდა 8,4%-ით, რამაც წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 2,56%-ული პუნქტით მო-  
ახდინა გავლენა. ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეუ-  
ლი და ბალჩეული — 27,3%, ხილი და ყურძენი — 16,9%. ამასთან, ფასები შემცირდა ზეთსა და ცხიმ-  
ზე — 4,3%-ით.

ერთი შეხედვით უცნაურია, მაგრამ 15,2%-ით გაიზარდა ჯანდაცვის მომსახურებისა და სერ-  
ვისის ფასი, რაც წლიურ ინფლაციაზე 1,37 პროცენტული პუნქტით აისახა. ამ ჯგუფში ფასების  
მატება აღინიშნა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობის ქვეჯგუფსა და  
ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე.

ბუნებრივია, ჩვენი საზოგადოება ამ მონაცემებს უარყოფითად აფასებს, თუმცა, არსებობს ხალ-  
ხი, ვინც გაძვირებაში პოზიტივს ხედავს. მათ შორისაა, ეკონომიკის ექსპერტი მამუა კახიანიძე.

— შემოდგომაა, წესით, ქვეყანაში სურსათი-  
სა და საკვები პროდუქტების გაძვირების სა-  
ფუძველი არ უნდა არსებობდეს. რამ გამოიწ-  
ვია ეს გაძვირება?

— მიმაჩნია, რომ ამაში საგანგაშო არა-  
ფერია. ძირითადად სურსათი და სოფლის  
მეურნეობის პროდუქტია გაძვირდა, მაგ-  
რამ შემოდგომა აქ არაფერ შუაშია: ეს სი-  
ტუაცია დამატებითი ბაზრების გახსნისა  
და იმ მოლოდინის ბრალია, რომელიც ევ-  
როკავშირთან ასოცირების ხელშეკრულე-  
ბამ შექმნა. რუსეთის ბაზარზე გასვლით  
კატასტროფულად გაიზარდა მოთხოვნა  
ყურძენზე, რაც მაშინვე აისახა ყურძნის  
ფასზე. იგივე მოხდა ისეთ პროდუქტებზე,  
რომლის გატანაც ქართველმა მენარმებმა  
დაიწყეს. მე უფრო მეტსაც მოველოდი, იმი-  
ტომ, რომ სადაც მაღალია ფა-  
სი, პროდუქციის გადინებაც  
იქით ხდება, თუ ამას ხელოვ-  
ნური ბარიერები არ ახლავს,  
ვგულისხმობ როგორც სატა-  
რიფო, ისე არასატარიფო შე-  
ზუდეებს. ყოველივე ეს კი, სტი-  
მულს აძლევს ფასების ზრდას.  
უცბად გაჩნდა ახალი ბაზრის  
პერსპექტივა და ამან მოახდინა  
გავლენა სურსათის ფასზე.

— თქვენი აზრით, ქვეყანაში ინ-  
ფლაციის ზრდის ტენდენცია არ  
შეინიშნება?

— ამ პროცესში ტენდენციას  
ვერ გხედავ, სულ მალე ფასე-  
ბი ისევ სტაბილური გახდება  
და ნოემბერ-დეკემბერში წლი-  
ური ინფლაციის მაჩვენებელი  
ნაკლები იქნება. რა თქმა უნდა, ინფლაცია  
კვლავ იქნება, მაგრამ 4,8%-იდან შეიძლება  
ჩამოვიდეს 4,4-4,5%-ზე, ბოლოდ იმ შემთხ-  
ვევაში, თუ ეროვნული ბანკი თავისი ფუ-  
ლად-საკრედიტო პოლიტიკით არ ნახა-  
ლისებს ინფლაციურ პროცესებს. ჩემი აზ-  
რით, ეს არ არის ტენდენცია. მარტივად  
რომ გითხრა, თუ ქართული ვაშლი დი-  
დი რაოდენობით გავა რუსეთის ბაზარზე,  
ჩვენს ბაზარზე მისი ფასი აიწევს, მაგრამ  
თუ რუსეთის ბაზარი ჩაიკეტება, მაშინ  
ჩვენთან ვაშლის ფასი დავარდება. ეს ისე-  
თივე ჭეშმარიტებაა, როგორც ორჯერ  
ორი — ოთხი. ანალოგიური რამ მოხდა  
ატამზეც: თუ შარშან ატამი 50 და 60 თეთ-  
რი ღირდა, წელს რუსეთში გავიდა და ფასი  
ერთ ლარს ქვემოთ აღარ ჩამოსულა. ეს ბუ-  
ნებრივი პროცესია: ქართული პროდუქტია  
ექსპორტზე გაეიდა და მისი ფასი გაიზარ-  
და, რაც ძალიან კარგია. საგანგაშო მაშინ  
იქნებოდა, იმპორტირებული პროდუქტია  
რომ გაძვირებულიყო. იგივე უნდა ითქვას  
ქართულ თხილზე, რომლის ფასიც წელს  
ძალიან გაიზარდა.

— როგორ აფუხსნათ ეს მოსახლეობას, რო-  
მელსაც პროდუქციის გაძვირება სულაც არ  
მისწონს?

— არ მოსწონს იმას, ვინც ყიდულობს, აბა,  
ერთი ჩაბრძანებით საგარეჯოში, ან გურ-  
ჯაანში და ჰკითხეთ — თუ მოეწონათ, რომ  
წელს ატმის ფასი გაიზარდა? აბა, ჰკითხეთ  
კახელ მევენახეებს კარგი იყო თუ ცუდი  
წელს საფერავი 3 ლარი რომ ღირდა? გა-  
აჩნია, ვის ჰკითხავთ — მყიდველს თუ  
ჰკითხავთ, ის სულ სხვა რამეს გეტყვით,

მაგრამ გამყიდველს თუ ჰკითხავთ — სულ  
სხვას. აბა, ის იყო კარგი თვითღირებულე-  
ბაზე ნაკლებ ფასში რომ იყიდებოდა ქარ-  
თული პროდუქტია, რადგან გლეხს არსად  
გატანის საშუალება არ ჰქონდა? საკმაოდ  
კარგი ხილი 30-40 თეთრი რომ ღირდა, ეს  
ნორმალური იყო?

— ჯანდაცვის მომსახურება და სერვისიც  
გაძვირდა, ეს რით არის გამოწვეული?

— მიმდინარე წლის მაისიდან გავრცელდა  
ინფორმაცია რეცეპტების შემოღების შე-  
სახებ და მოსახლეობა გაურკვეველ სიტუ-  
აციაში აღმოჩნდა, რამაც გარკვეული აუი-  
ოტაჟი და უსიამოვნო მოლოდინი გამოიწ-  
ვია. ყველა ცდილობდა, დაინახა მარაგი და-  
ეგროვებინა. ხალხმა დაიწყო ექიმებთან  
უფრო ინტენსიურად მისვლა და წამლებიც



დიდი რაოდენობით შესყიდვა, რასაც ხე-  
ლი შეუწყვეს აფთიაქებმა, რომლებიც ამ  
აუიოტაჟს ახალისებდნენ. შედეგად, სამე-  
დიცინო მომსახურების წილი ინფლაციის  
მაჩვენებელში გაიზარდა. ასე რომ, ინფლა-  
ცია არ არის ეროვნული ბანკის, ან ფულად-  
საკრედიტო პოლიტიკის ნაყოფი — ეს ბუ-  
ნებრივი პროცესია, რომელიც დროთა გან-  
მავლობაში უნდა დასტაბილურდეს. მარ-  
თალია, ზოგიერთი ექსპერტი ფიქრობს,  
რომ ინფლაცია გარდაუვალია, მაგრამ ამ  
ეტაპზე ქვეყანაში ინფლაციის საშიშრო-  
ება არ არსებობს. თუ არ გჯერათ, დაელო-  
დეთ და ნახათ, რომ ეს პროგნოზი გამარ-  
თლდება, მით უმეტეს, 4,8% საგანგაშო  
ციფრი არ არის, ინფლაცია სულ იქნება.  
ოქტომბერში შეიძლება 4,5%-მდე დავიდეს  
და 2014 წელი 4-პროცენტის ინფლაცი-  
ით დასრულდეს, 3 პროცენტი უკეთესი იქ-  
ნებოდა, მაგრამ 4 პროცენტიც კარგია.

— ალბათ, ისიც საყურადღებოა, რომ სექტემ-  
ბერში ინფლაციის ბოლო სამი წლის განმავ-  
ლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღი-  
წესდა.

— ცნობილია, რომ ნებისმიერი ეკონომი-  
კური ზრდა იწვევს ინფლაციურ პროცე-  
სებს, გუშინდელი 1 ლარი არასოდეს უდ-  
რის ხვალინდელ 1 ლარს, მათ შორის აუცი-  
ლებლად არის უმნიშვნელო ცვლილება.  
მთავარია, ინფლაციური პროცესის ხე-  
ლოვნური სტიმულირება არ მოხდეს. ინ-  
ფლაცია გონივრულ ფარგლებში უნდა  
გვექონდეს, 2-3 პროცენტი იდეალურია,  
მაგრამ 3-4 %-იც არ არის კატასტროფა.

სათუნა ჩიგოძე

ქვირფასო მკითხველო!

წარმოგიდგინებ მსოფლიოს უნივერსიტეტების საერთაშორისო რეიტინგების ანალიზს, რომელიც ადასტურებს, რომ ვითარება საქართველოში ფრიად საგანგაშოა.

როგორც მოგეხსენებათ, წინა ხელი-სუფლებამ დიდი ხმაურითა და უზარმაზარი სახსრების ხარჯვით წარმართა განათლების სისტემის რეფორმა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო დონეზე უნდა გაეყვანა.

ამ მოჩვენებითი, ეგრეთ წოდებული „ყველაზე წარმატებული“ რეფორმით მიღებული შედეგები კი ცხადყოფენ, რომ ამ პროცესმა არამცთუ ევროპულ დონეზე ვერ გაგვიყვანა, მნიშვნელოვნად ჩამოგვარჩინა აფრიკისა და აზიის ქვეყნებსაც (ალჟირს, ირანს, თურქეთს, ინდოეთს და ა.შ.).

სამწუხაროდ, საქართველოს ოთხი საუკეთესო უნივერსიტეტი თავისი რეიტინგით სირიის, ერაყის, ავღანეთისა და ბანგლადეშის უნივერსიტეტებს უტოლდება, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი, მათ მნიშვნელოვნად ჩამორჩება და 10000 უნივერსიტეტის სიებშიც კი ვერ ხვდება. ეს იმას ნიშნავს, რომ შედეგი უბედურების ზონას უტოლდება.

**ჩვენ ვატყუებთ ჩვენს მოსახლეობას და ვლუბავთ მომავალ თაობას.** ეს უმძიმესი ვითარება გამოწვეულია იმით, რომ, განათლების სისტემის შეფასებისათვის ყოფილიმა ხელისუფლებამ მოჩვენებითი, ფორმალური პარამეტრები შეარჩია და არა რეალური საბოლოო შედეგი. მკაცრად შეიზღუდა უნივერსიტეტების თავისუფლება, დაინერგა საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც არ ითვალისწინებენ საკუროს პროექტებს და სამუშაოებს, სახელმწიფო გამოცდებს, სადიპლომო ნაშრომების დაცვას, ანუ ყოველივე იმას, რაც დაკავშირებულია შედეგის კონტროლთან.

რეფორმა დაიწყო და დამთავრდა ერთიანი მისაღები გამოცდებით. ქართული განათლების სისტემა ჩაიკეტა და მონოპოლიზებულია სამინისტროს ახალგაზრდა, გამოუცდელი ინსტრუქტორების მიერ. საქართველოში შექმნილი ეს მდგომარეობა გამოიწვევს კონკურენციას სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან სამინისტროს მხრიდან ზედმეტი ადმინისტრირების გამო. საგრძობლად დაბალი რეიტინგი აქვთ იმ უნივერსიტეტებსაც, რომლებიც დაფუნდნენ უცხოური უნივერსიტეტების თანამონაწილეობით.

საგანგაშოა თუნდაც ის ფაქტი, რომ ავღანეთის ამერიკული უნივერსიტეტიც კი გაცილებით უსწრებს ჩვენს ერთობლივ უნივერსიტეტებს, ალბათ, იმიტომ, რომ ავღანეთის განათლების ინსტრუქტორები ამ დონეზე ვერ ბედავენ თავიანთი სასწავლებლის შევიწროებას. **აშკარაა, განათლების სისტემაში საჭიროა გადაუდებელი ღონისძიებები.**

განათლება უნდა გახდეს თავისუფალი, ღია და კონკურენტული. ქართულ უნივერსიტეტებს უნდა შეეძლოს, გაუზიარონ კონკურენცია ცივილიზებული ქვეყნების უნივერსიტეტებს ერთობლივი, ქართულ-უცხოური სასწავლებლების სახით. მათი მუშაობა კი უნდა შეფასდეს არა პროცესის მკაცრი გარე კონტროლით, არამედ საბოლოო შედეგით. მე ვფიქრობ, ამ მიზნით, აუცილებელი და გადაუდებელია შემდეგი ცვლილებები:

**1. რეალურად მიეცეთ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ბოლონის კონვენციით გათვალისწინებული ფუნდამენტური უფლებები, მათ შორის, უფლება, თვითონ შეარჩიონ და დაწერონ საგანმანათლებლო პროგრამები როგორც ქართული, ასევე უცხოური უნივერსიტეტების პროგრამების განხორციელების გზით.**

**2. საგანმანათლებლო დაწესებულებათა შეფასების ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვროს შედეგის მაჩვენებელი პარამეტრები: სტუდენტთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგები (საზოგადოებრივი აზრი სასწავლებლის შესახებ), დასაქმებულ კურსდამთავრე-**



# ნუ ვღუპავთ მომავალს!

**ბუღალტრული წილი, იმ კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომელთა მიერ განვიღო საგანმანათლებლო პროგრამას აღიარებენ მონაწილე უნივერსიტეტები; იმ კურსდამთავრებულთა ხვედრითი წილი, რომელთაც, ქართული დიპლომის პარალელურად, მიიღეს უფრო რეიტინგული უცხოური უნივერსიტეტების დიპლომები, გაიარეს პრაქტიკები და საკვალიფიკაციო კურსები საზღვარგარეთ.**

**3. მისაღები პროცესისას, სასწავლებლებმა საჯაროდ გამოაქვეყნონ საგანმანათლებლო პროგრამა და საერთაშორისო რეიტინგი იმ უმაღლესი სასწავლებლისა, რომლის დიპლომსაც იგი გასცემს.**

**გულდასმით დააკვირდით ქართული უმაღლესი სასწავლებლების რეიტინგს მსოფლიოს უნივერსიტეტებთან შედარებით და თავად დაწინაურდით ზემოთქმულს აუცილებლობაში.** არსებობს მსოფლიოს უნივერსიტეტების რამდენიმე რეიტინგი. ეს რეიტინგები შედგენილია ათზე მეტი საგულდაგულოდ შერჩეული პარამეტრის შეჯამების საფუძველზე. მათ შერჩევამო მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტები, პროფესორები, განათლებისა და მეცნიერების ლიდერები, ბიზნესმენები და ხელისუფლების წარმომადგენლები.

**საგულისხმოა, რომ რეიტინგების უდიდეს უმრავლესობაში (იხილეთ რეიტინგები, რომლებიც წარმოადგენს მისამართებზე [www.timeshighereducation.co.uk/world-university-rankings/2013-14/world-ranking](http://www.timeshighereducation.co.uk/world-university-rankings/2013-14/world-ranking), [www.topuniversities.com/where-to-study/europe/russia/guide](http://www.topuniversities.com/where-to-study/europe/russia/guide), [www.shanghai-ranking.com/Search.jsp](http://www.shanghai-ranking.com/Search.jsp), [www.leidenranking.com/products](http://www.leidenranking.com/products)) ქართული უნივერსიტეტები არასდროს ფიგურირებენ. საგარეუდოდ, ეს გამოწვეულია იმით, რომ არც ერთი ქართული უნივერსიტეტი საუკეთესო უნივერსიტეტების ათასეულშიც ვერ ხვდება.**

მსოფლიოს საუკეთესო 1000 უნივერსიტეტის ჩამონათვალში ფიგურირებენ რუსეთის, ბელორუსიის, უკრაინის, ბულგარეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნების უნივერსიტეტები. ეს იმას ნიშნავს, რომ, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ევროპულმა ნაწილმა განათლების სფეროში მნიშვნელოვნად გააასწრო საქართველოს.

იმის მიუხედავად, რომ, ქვეყანაში, 10 წლის განმავლობაში, დიდი ხმაურით მიდიოდა განათლების სისტემის რეფორმა, რეალურად არანაირი წინსვლა ჩვენს უახლოეს მეზობლებთან (ყაზახებ-

თან, სომხებთან და აზერბაიჯანელებთან) შედარებით ჩვენ არ განვციდით. პირიქით, გარკვეულად ჩამოვრჩით კიდევ. 2012 წლის მონაცემებით სომხური უნივერსიტეტები იკავებდნენ ადგილს 3000 უნივერსიტეტს შორის, ხოლო ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო – ილიას უნივერსიტეტი 5000 უნივერსიტეტის მიღმა იყო. ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებზე გაცილებით მაღალი რეიტინგი აქვთ ყაზახეთის უნივერსიტეტებს და პრაქტიკულად უტოლდებიან ყირგიზეთს, უზბეკეთს და ტაჯიკეთს.

2014 წლისათვის მონაცემები შეიცვალა და ილიას უნივერსიტეტმა და ჯავახიშვილის უნივერსიტეტმა თითქმის 2500 ერთეულით ზემოთ აიწიეს, თუმცა, ჩვენი საუკეთესო უნივერსიტეტების რეიტინგი პრაქტიკულად მაინც არ შეცვლილა. თუ გადავხედავთ ქვემოთ მოყვანილ 2014 წლის მონაცემებს ([www.webometrics.info](http://www.webometrics.info)), დავინახავთ, რომ ჩვენი უნივერსიტეტები, თავისი რეიტინგით, არ განსხვავდებიან ერაყის, სირიის, ბანგლადეშის, ავღანეთის, აფრიკის და ლათინური ამერიკის კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების უნივერსიტეტებისაგან, ანუ ჩვენ უტოლდებით ქვეყნებს, რომლებიც კატასტროფის ზონაში იმყოფებიან.

ჩვენი აზიელი მეზობლებიდან, განათლების სისტემით, შედარებით წინ არიან თურქეთი, ირანი და ისრაელი. მსოფლიოს 1000 საუკეთესო უნივერსიტეტის ჩამონათვალში თქვენ შეგიძლიათ ნახოთ 12 თურქული, 10 ირანული, 7 ებრაული და 4 ინდური უნივერსიტეტი.

მსოფლიოს 200 საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლის ჩამონათვალში არიან თელ-ავივისა და იერუსალიმის, აგრეთვე, სტამბოლის (bogazici-university) და მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტები.

გთავაზობთ მონაცემებს მსოფლიოს უნივერსიტეტების შესახებ („Webometrics Ranking of World Universities“), რომლებიც ასახულია მისამართზე [www.webometrics.info](http://www.webometrics.info)

**საუკეთესო ქართული უნივერსიტეტები, რომელთა რეიტინგები უტოლდება ერაყის, სირიის, ბანგლადეშისა. და ავღანეთის, ასევე ლათინური ამერიკის და აფრიკის განვითარებადი ქვეყნების საუკეთესო უნივერსიტეტების რეიტინგებს, არის ილიას უნივერსიტეტი (2201-ე ადგილზე), ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (2547-ე ადგილზე), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (5574-ე ადგილზე), თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი (6427-ე ადგილზე).**

გთავაზობთ იმ ქართული უნივერსიტეტების ჩამონათვალს, რომელთა რეიტინგი ჩამორჩება ერაყის, სირიის, ბანგლადეშისა და ავღანეთის ასევე ლათინური ამერიკისა და აფრიკის განვითარებადი ქვეყნების უნივერსიტეტების რეიტინგებს. შავი ზღვის უნივერსიტეტი (7213-ე ადგილზე), კავკასიის უნივერსიტეტი (10506-ე ადგილზე), ბათუმის უნივერსიტეტი (10569-ე ადგილზე), საქართველოს უნივერსიტეტი (10987-ე ადგილზე), თავისუფალი უნივერსიტეტი (1029-ე ადგილზე), თელავის უნივერსიტეტი (11463-ე ადგილზე), გორის უნივერსიტეტი (12234-ე ადგილზე), ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (12848-ე ადგილზე).

**ეს მონაცემები განსაკუთრებით საგანგაშოა, თუ შევადარებთ პოსტსაბჭოთა ევროპული ქვეყნების საუკეთესო უნივერსიტეტების რეიტინგებს.** მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი (122-ე ადგილზე), ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტი (347-ე ადგილზე), სოფიის სახელმწიფო უნივერსიტეტი (842-ე ადგილზე), ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი (673-ე ადგილზე), ბელორუსიის ნაციონალური ტექნიკური უნივერსიტეტი (1937-ე ადგილზე), კიევის შეჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (885-ე ადგილზე), უკრაინის ტექნიკური უნივერსიტეტი (1271-ე ადგილზე), ხარკოვის ნაციონალური ტექნიკური უნივერსიტეტი (1318-ე ადგილზე).

**ჩვენი მეზობელი ქვეყნების საუკეთესო უნივერსიტეტების რეიტინგებია:** სტამბოლის უნივერსიტეტი (190-ე ადგილზე), თეირანის უნივერსიტეტი (398-ე ადგილზე), ბომბეის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (551-ე ადგილზე), ბერლინის უნივერსიტეტი (ლიბანი) 915-ე ადგილზე, ყაზახეთის გუმილევის სახელობის ევრაზიული უნივერსიტეტი (1455-ე ადგილზე), ბრაკის უნივერსიტეტი (ბანგლადეში) (2507-ე ადგილზე), ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი (2591-ე ადგილზე), ბალდადის უნივერსიტეტი (ერაყი) (2924-ე ადგილზე), დამასკოს უნივერსიტეტი (4545-ე ადგილზე), Khazar University (აზერბაიჯანი) (5836-ე ადგილზე), ავღანეთის ამერიკული უნივერსიტეტი (5856-ე ადგილზე).

**დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს ცნობილი უმაღლესი სასწავლებლები, რომლებსაც ჯერ კიდევ შემორჩა მეცნიერული და პედაგოგიური პოტენციალი, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი კერძო სასწავლებელი უკეთ არის აღჭურვილი და გარემონტებული, რეიტინგით მაინც გაცილებით უფრო მაღლა დგანან.** სამწუხაროდ, ეს პროცესი მილევადია და მოსალოდნელია ტრადიციული სამეცნიერო სკოლების თანდათანობითი დაქვეითება და გაქრობაც კი. ამის შედეგად შესაძლოა, მომავალში სურათის მთლიანი ცვლილება. ამიტომ, მიმაჩნია, რომ, ტრადიციული უნივერსიტეტების გადარჩენის გზა რეალური რეფორმაა და საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ „პოტიომკინის სოფელი“ – მხოლოდ ლამაზი აუდიტორიები, სადაც ცქმპარტი მოძღვრის ხმა არ ისმის, არ ნიშნავს ქვეყნის გადარჩენის გზას.

ცხადზე უცხადესია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენმა დიდმა სახელმწიფო სასწავლებლებმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს საერთაშორისო რეიტინგი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ამიტომ, გთხოვთ თითოეულ თქვენგანს, რომ თავი მოვიყაროთ საფიქროზე, რათა შევიმუშაოთ ჩვენი რეკომენდაციები, რომ უმაღლეს დონეზე განსახილველად შევთავაზოთ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ქართული საგანმანათლებლო სფეროს გადაუდებელი ცვლილებები.



**ამირან ავციპური,** პროფესორი, გენიკის მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისი. 514 010171, AMIRANAPTSAURI@GMAIL.COM

# გამორჩენილი ნოვატორი მეცნიერი, როგორც მუდმივად სდილოვს დარგში სიასლუბის დანერგვას

აკადემიკოსი ლაურ მანაგაძე - 70



კასი -  
კასობის სადარჯოვა

როდესაც შემომთავაზეს, ბატონ ლაურ მანაგაძეზე სტატიას ვამზადებთ და თქვენი, როგორც მისი ერთ-ერთი მოწაფის აზრი გვავსებთ მის პიროვნებაზე, ძალიან გამიხარდა და სიამოვნებით დავთანხმდი. საქმე ხომ ეხება ადამიანს, რომელიც ჩემს პროფესიულ და პიროვნულ ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. დაუყოვნებლივ შევუდევი ჩანაწერზე მუშაობას. თუმცა, ძალიან მალე მივხვდი, რომ ეს ურთულესი ამოცანა იყო, ვინაიდან ლაურ მანაგაძის მასშტაბის მოღვაწეზე საუბარი ერთ, თუნდაც ძალიან დიდ საგაზეთო სტატიას, შეუძლებელია.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ლაურ მანაგაძის ბრწყინვალე პედაგოგიური თვისებები. უროლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად დანიშვნის დღიდან იგი აწარმოებს ახალგაზრდების ძალიან მკაცრ სელექციას და დაწესებულებაში მოჰყავს მხოლოდ შერჩეული, ნიჭიერი და მოტივირებული ახალგაზრდა ექიმები. ასე მაგალითად, ყველამ იცოდა, რომ უროლოგიის ინსტიტუტში შეუძლებელი იყო მოხვედრა ინგლისური ენის ცოდნის გარეშე, რაც საბჭოთა პერიოდისთვის იშვიათობა გახლდათ. უფრო მეტიც, იგი ახდენდა ნიჭიერი ახალგაზრდა ექიმების სტიმულირებას, სტაჟირებას უცხოეთის წამყვან კლინიკებში, ხოლო მათი დაბრუნების შემდეგ, მკურნალობის თანამედროვე მეთოდების კლინიკურ პრაქტიკაში დაინერგვას. უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ეს პრაქტიკა, დღემდე იშვიათია საქართველოს სამედიცინო სფეროში. სწორედ ამ პედაგოგიური თვისებების ხარჯზე, ბატონმა ლაურმა შემოიკრიბა და აღზარდა რამდენიმე თაობა ძალიან წარმატებული ახალგაზრდა უროლოგებისა, რომლებიც აგრძელებენ დარგის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

ერთ-ერთი მისი მოწაფე მეც გახლავართ. უროლოგიის ინსტიტუტში მე სრულიად ახალგაზრდა, 1991 წელს მოვედი. ბატონმა ლაურმა მაშინვე მიმიღო სამსახურში, მომცა საკანდიდატო დისერტაციის თემა და უკვე რამდენიმე თვეში გამაგზავნა სტაჟირებაზე ჰოლანდიისა და ევროპის ერთ-ერთ წამყვან უროლოგიურ კლინიკაში. ამის შემდეგ იყო მიზნობრივი, მრავალწლიანი სტაჟირება ისრაელში, იტალიასა და გერმანიაში, რომლის მიზანიც იყო თირკმლის ტრანსპლანტაციის პროგრამის განვითარება საქართველოში. სულ ბოლოს კი, რამდენიმე წლის წინათ, მივლინება აშშ-ში, სადაილი ზო სისხლძარღვოვანი მიდგომების ტექნიკის ჩვენს დაწესებულებაში დანერგვის მიზნით. შედეგად, ორივე ამ დარგში, ჩვენი ცენტრი ლიდერია საქართველოსა და რეგიონში. რა თქმა უნდა, ეს არ მესება მარტო მე, ეს იყო და არის ზოგადად ლაურ მანაგაძის, როგორც ხელმძღვანელისა და პედაგოგის, მუშაობის სტილი, რომელიც გაიარეს მისმა სხვა მოწაფეებმაც.

გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ ბატონი ლაურის მსგავსი ნოვატორული თვისებების მქონე ადამიანი, რომელიც მუდმივად ცდილობს დარგში სიახლეების დაინერგვას, მე არ შეხვედრია. შორს წაგვიყვანს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის იმ მეთოდების ჩამოთვლა, რომლებიც ბატონმა ლაურმა დანერგა ჩვენს დაწესებულებაში და ქართულ უროლოგიაში ზოგადად.

მხოლოდ რამდენიმე მათგანს ჩამოვთვლი: უროდინამიკული კვლევის ლაბორატორია, რომელიც რეგიონში პირველად ამუშავდა უროლოგიის ინსტიტუტში 1991 წელს; რადიკალური პროსტატექტომიისა და ცისტოპროსტატექტომიის ოპერაციები, რომლებიც საბჭოთა კავშირში პირველად, ჩვენს დაწესებულებაში გაკეთდა 1991-1992 წლებში; შარდის ბუშტის ნაწლავოვანი პლასტიკები 1987 წლიდან; თირკმლის ტრანსპლანტაცია 1995 წლიდან; კენჭების დისტანციური ლითოტრიპსია; პერკუტანული და ენდოსკოპიური ქირურგია; ლაპაროსკოპიული უროლოგია; პროსტატისა და შარდის ბუშტის ტრანსურეტრული და ლაზერული ქირურგია; და კიდევ მრავალი სხვა. ბევრი ჩამოთვლილთაგანი დღემდე უნიკალურია ჩვენს რეგიონში. ეს ოპერაციები თუ სამკურნალო-დიაგნოსტიკური მანიპულაციები შემდგომში დაინერგა საქართველოს სხვა უროლოგიურ კლინიკებშიც და წარმატებით წარმოებს დღემდე. ამას

ამან ხელი შეუწყო დაწესებულებისა და ზოგადად ქართული უროლოგიის განვითარებას. ეს კი, თავისთავად, ლაურ მანაგაძის, როგორც ხელმძღვანელის, მეცნიერისა და პედაგოგის ნოვატორულ თვისებებზე მიუთითებს.

ბატონი ლაური უაღრესად ნიჭიერი, არანორმალურად შრომისმოყვარე და არაორდინარული პიროვნებაა. ბევრი შეიძლება ისაუბროს მასზე, როგორც მეცნიერსა და ქირურგზე, სადაც მისმა ნიჭმა უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. დარწმუნებული ვარ, ამას მისი სხვა მოწაფეები და კოლეგები აღნიშნავენ.

არჩილ ჩხობუა,  
პროფესორი, უროლოგიის ეროვნული ცენტრის  
დირექტორი სამეცნიერო დარგში.

## მრავალნი არიან ჩინებულ და მსიჩქარე - რჩეულ

ბატონ ლაურ მანაგაძეს თითქმის ორი ათეული წელია, ვიცნობ. ასე რომ, ჩემთვის კარგა ხანია, ცნობილია, რომ იგი უზადლო ქირურგია, ნამდვილი დიდოსტატი, რომელიც, ალბათ, მსოფლიოს ნებისმიერ საუკეთესო უროლოგიურ კლინიკას დაამშვენებდა. მეამაყება და მიხარია, რომ იგი ჩემი თანამემამულეა და თანაც სადმე შორს კი არა, აქ - საქართველოში მოღვაწეობს და თავდაუზოგავად შრომობს ათასობით პაციენტის ჯანმრთელობის დასაცავად.

ბატონი ლაური საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული მეცნიერია, მრავალი ახალი მეთოდის შემქმნელი და პრაქტიკაში დამწერგავი, მეცნიერ-მედიკოსთა არაერთი თაობის აღმზრდელი.

როცა ბატონ ლაურზე ვფიქრობ, ჩემდა უნებურად გონებაში ამოტივტივდება ხოლმე ცნობილი შეგონება მათეს სახარებიდან „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი - რჩეულ“. მინდა გულწრფელად მივულოცო ჩვენს საამაყო მეცნიერსა და მკურნალს საიუბილეო თარიღი და ვუსურვო, რომ მრავალი ათეული წლის მანძილზე კვლავ ღირსეულად ეტარებინოს ჩინებულთა შორის რჩეულის მძიმე და საპატიო ტვირთი.

ზანო პილუბაძე.

## გან თითქმის შეუქალაპალი შექლო

ლაურ მანაგაძესთან მკავშირეობს დიდი ხნის ახლო მეგობრობა, რომელსაც ვერაფერს აკლებს მანძილი ჩვენს შორის, ხოლო დრომ ის მხოლოდ განამტკიცა. ეს არის არაჩვეულებრივად ნიჭიერი ადამიანი, რომელშიც შეთავსებულია დაუოკებელი ოპტიმიზმი და სიცოცხლის ხალისი, ენერჯი-



ოჯახი პატრიარქთან: მარცხნიდან მირანდა მანაგაძე (რძალი), პატრიარქი, ლაურ მანაგაძე, გიორგი მანაგაძე (შვილი); ქვევით შვილიშვილები: ლაური და ირინა, გიორგი მანაგაძე (შვილი).

ბატონი ლაური აღწევს მუდმივი პროფესიული დახვეწის, ახლის ძიებისა და ჩვენს უცხოელ კოლეგებთან კოოპერაციის გზით. მას არასდროს შეშინებია პროგრესის, პირიქით, ქვეყნისათვის ყველაზე რთული პერიოდშიც კი, მუდმივად ცდილობდა, გაერღვია არსებული პოლიტიკური იზოლაცია, დაემყარებინა კონტაქტები უცხოელ კოლეგებთან და განეცხვებინა დარგი. უნდა აღინიშნოს, რომ მისმა ამ თვისებამ, საბოლოო ჯამში, უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი დაწესებულებისა და მთლიანად უროლოგიის განვითარებაში საქართველოში.

ბატონმა ლაურმა შესანიშნავი კონტაქტები დაამყარა ევროპის უმსხვილეს საუნივერსიტეტო კლინიკების ხელმძღვანელებთან. ყველა მისი მოწაფე, რომელიც გახდა წარმატებული უროლოგი, რამდენჯერმე არის ხანგრძლივი მივლინებით წამყოფი ევროპისა და მსოფლიოს წამყვან უროლოგიურ კლინიკებში. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან, როცა ქვეყანა პოლიტიკურ იზოლაციაში იყო, გაგრძელებული ყველაზე რთული, 90-იანი წლებით დღემდე, უროლოგიის ცენტრში არ შეწყვეტილა გამოჩენილი უცხოელი უროლოგების ვიზიტები. იყო პერიოდი, როცა თვე არ გავიდოდა, რომ რომელიმე ცნობილი უროლოგი არ ყოფილიყო სტუმრად ჩვენს დაწესებულებაში და არ ჩაეტარებინა სადემონსტრაციო თუ სასწავლო ოპერაციები. ყოველივე



რეზო სალუაია - უროლოგი, პროფესორი, გელა ბასვიანი - უროლოგი, ლაურ მანაგაძე, ოთარ ნაზარიშვილი - უროლოგი, პროფესორი.



ლაურ მანაგაძე ლაიხაიზის საუნივერსიტეტო კლინიკის უროლოგიური დეპარტამენტის დირექტორთან, აკადემიკოს იანს-უვე შტოლცმანსთან ერთად

ულობა და მიზანსწრაფულობა, წესიერება, სიყვარული გარშემო მყოფების — ახლობლების, მეგობრების, კოლეგების, პაციენტების მიმართ. ნებისმიერ საზოგადოებაში ის ყურადღების ცენტრში ექცევა, ყოველთვის იწვევს აღტაცებას და კეთილშობილურ გრძობებს აღძრავს. მოსკოვის | სამედიცინო ინსტიტუტის, აკადემიკოს ვ.ვ. კოვანოვისა და პროფესორ მ. ბელენცის აღზრდილმა, მან თითქმის შეუძლებელი შეძლო მშობლიური საქართველოსთვის უმძიმეს წლებში — არა მარტო შეინარჩუნა თბილისის უროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თავისი სამედიცინო და მეცნიერული კადრებით, არამედ ეს ინსტიტუტი მსოფლიოს ცნობილი უროლოგიური ცენტრების რიგში ჩააყენა.

ამის დამადასტურებელია არა მარტო თბილისის უროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები, არამედ მსოფლიოს გამოჩენილ უროლოგთა ინტერესი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ქართველ უროლოგთა კონფერენციებსა და სამეცნიერო ფორუმებში, ქირურგიულ ოპერაციებში, პუბლიკაციებში და მონოგრაფიებში, სისტემატურად იწვევენ მათ თავიანთ ქვეყნებში დაგეგმილ ანალოგიურ სამეცნიერო ღონისძიებებზე. ლ. მანაგაძე ღირსეული და წარმატებული გამგრძელბელებია აკადემიკოს ა.პ. ნულუკიძის მოღვაწეობისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა უროლოგიის ინსტიტუტს თბილისში, საქართველოში, — ეს იყო უროლოგიის პირველი ინსტიტუტი საბჭოთა კავშირში. მინდა, ხაზი გავუსვა იუბილარის მნიშვნელოვან თვისებას — მის დამოკიდებულებას ახალგაზრდა სპეციალისტებისა და კოლეგების მიმართ: იგი მომთხოვნიდა, მაგრამ მუდამ ხელს უწყობს მათ წინსვლას მედიცინაში, ახალი ტექნოლოგიების ათვისებას, მათი მეცნიერული და კლინიკური პოტენციალის ამაღლებას. ეს საშუალებას გვაძლევს ოპტიმიზმით ვუყუროთ მომავალს, იმედი ვიქონიოთ, რომ თბილისის უროლოგიის ინსტიტუტი, მისი ხელმძღვანელი აკადემიკოსი ლ.გ. მანაგაძე, მისი მოწაფეები ყოველთვის იდგებიან მეცნიერული და კლინიკური უროლოგიის წინა ხაზზე.

ვულოცავ იუბილარს დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ნაყოფიერ მოღვაწეობას, დადებითი ემოციებით აღსავსე, დღეგრძელ სიცოცხლეს!

პატივისცემით,

**ვლადიმერ ჩხიკვაძე**

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის დამსახურებული ექიმი, რუსეთის ფედერაციის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რენგენორადიოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი.

## ღირსებით განვლილი წლები

**ძმარტვილი უროლოგი ლაურ მანაგაძე, რომელიც ღირსეულად აგრძელებს ღვაწლმოსილი ქართველი უროლოგების სკოლას, არის აქტიური და მიზანდასახული ყველა დარგში. გარდა მისი სამეცნიერო და სამედიცინო მოღვაწეობისა, ლაურ მანაგაძე აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოს პარლამენტში 1999-2004 წლებში, როცა იგი არჩეულ იქნა პარლამენტის წევრად „მრეწველთა“ პარტიის სიით. ბატონ ლაურს ეკუთვნის მრავალი სასიკეთო ინიციატივა მედიცინის დარგში, რომელიც მან წარადგინა პარლამენტში. იგი დღესაც დიდ შემართებას და მაღალ აქტივობას ინარჩუნებს.**

დიდი ჰუმანისტი ექიმი, ღირსეული პიროვნება და აღიარებული სპეციალისტი, რომელთანაც თანამშრომლობენ მსოფლიოს გამოჩენილი მედიკოსები, დღეს სათავეში ჩაუდგა უროლოგიის ეროვნულ ცენტრს, რაც კიდევ ახალ-ახალ გამარჯვებებს მოუტანს მედიცინის ამ დარგის განვითარებას როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

გილოცავთ, ჩვენი მეგობარო მთელი ჩვენი პარტიის სახელით იუბილეს, გვებაყვება, რომ ჩვენი თაობის ასეთ ღირსეულ წარმომადგენელთან ერთად მოგვინია თანამშრომლობა.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ოჯახის კეთილდღეობას და მორიგ წარმატებებს შენს პროფესიაში..

**გობი თოფაძე, ზურაბ ტყეშელაშვილი, პარლამენტის წევრები.**

## ყოველწლიური კონფერენციები



# მსოფლიო მნიშვნელობის ხელმძღვანელი ექიმი-უროლოგი, დიდებული ადამიანი

**აკადემიკოსი ლაურ მანაგაძე არის მსოფლიოში აღიარებული ლიდერი უროლოგიაში, შესანიშნავი მონოგრაფიების ავტორი, ორგანიზატორი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ფორუმებისა, რომლებიც საქართველოში უროლოგიური მეცნიერების გამოჩენილ თანამედროვე მოღვაწეებს, უმაღლესი კლასის ქირურგ-უროლოგებს იზიდავენ. მისი დაუღალავი მოღვაწეობის წყალობით უროლოგიამ საქართველოში არნახულ სიმაღლეებს მიაღწია, მისი მოწაფეები ითვისებენ ამ მიმართულების პრაქტიკულად ყველა დარგში დაგროვილ ცოდნასა და უნარს, და ამით უზრუნველყოფენ საქართველოს მოსახლეობისათვის უროლოგიური დახმარების მაღალ დონეს.**

ლაურ გრიგორის ძე გახლავთ სომეხ უროლოგთა დიდი და ერთგული მეგობარი. ის არჩეულია სომეხეთის უროლოგთა ასოციაციის გამგეობის საპატიო წევრად. იგი ფრიად კეთილგანწყობილი და უაღრესად გულსხმიერია, ყოველთვის მზად არის, მომენტალურად მოახდინოს რეაგირება ყველა ჩვენს საქორბეზე და თხოვნაზე. ჩვენ მისით ვამაყობთ და ვგრძობთ მასთან ხშირი ურთიერთობის საჭიროებას. ბატონი ლაური გვაოცებს თავისი ცოდნით, უნარიან და შორსმჭვრეტელობით, მასთან ურთიერთობა გვაძლევს სიკეთითა და ჰუმანურობით.

70 წლის იუბილეს დღეებში ვუსურვებთ ლაური გრიგორის ძეს ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, დაე არასოდეს ეღალატოს მისთვის ენთუზიზმსა და გამჭრიახობას.

ჩვენ აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას ლაური გრიგორის ძის საიუბილეო ღონისძიებებში და მას ჩვენი გულუბნობის სიტბოს გავუწვანებებთ.

**ივანე გიარასიძის ძე აბაჯანიანი,**

სომხეთის დამსახურებული ექიმი, აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სომხეთის მთავარი უროლოგი, სომხეთის უროლოგთა ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი.

\* \* \*

**ღრმად პატივცემილ ლაურ მანაგაძე,**

მიიღეთ ჩემი ყველაზე გულთბილი და გულწრფელი მილოცვა სახელოვან იუბილესთან — დაბადების 70 წელთან დაკავშირებით!

ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ, ისევე როგორც საქართველოში, თქვენ გიცნობენ როგორც გამოჩენილ სპეციალისტს უროლოგიის, ოპერატიული ნეფროლოგიის, ენდოკრინოლოგიისა და ტრანსპლანტოლოგიის დარგებში.

თქვენი სამეცნიერო შრომების შედეგები ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში.

დიდი სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ თქვენ უაღრესად კეთილი და მეგობრული ურთიერთობები გაკავშირებდათ მამაჩემთან — აკადემიკოს მ.დ. ჯავახიშვილს. ეს მეგობრობა იყო აზერბაიჯანელ და ქართველ უროლოგთა მრავალწლიანი სამეცნიერო-პრაქტიკული კავშირების საფუძველი.

მედიცინის ორგანიზატორისა და პედაგოგის ტალანტის წყალობით თქვენ აღზარდეთ ნიჭიერ უროლოგთა არაერთი თაობა, რომლებიც სრულიად სამართლიანად თავის დამრიგებლად გთვლიან, მათ შორის, ჩვენთან, აზერბაიჯანში.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი დაუშრეტელი ენერჯია კიდევ ბევრ სარგებელს მოუტანს უროლოგიური მეცნიერების განვითარებას.

კიდევ ერთხელ, აზერბაიჯანის უროლოგთა ასოციაციისა და სამედიცინო საზოგადოების სახელით და პირადად ჩემგან მიიღეთ მილოცვა იუბილესთან დაკავშირებით. გისურვებთ მრავალი წლის ნაყოფიერ მოღვაწეობას, ჯანმრთელობას, კეთილდღეობას!

გულწრფელი სურვილებით

**სამირ ჯავახიშვილი,**

აზერბაიჯანის უროლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, აალიევის სახელობის აზერბაიჯანის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის უროლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი.

**ლაურ მანაგაძე არის ჩემი ახლო მეგობარი და მასწავლებელი. მეგობარი — იმიტომ, რომ მე და ჩემი ოჯახი მრავალი წელია, ვიცნობთ ამ ღირსეულ ადამიანს, მასწავლებელი — იმიტომ, რომ ლ. მანაგაძე მსოფლიო მნიშვნელობის უროლოგია. მონოგრაფია „ოპერატიული უროლოგია. კლასიკა და ნოვაციები“, რომლის ინიციატორი ლაურ მანაგაძე გახლდათ, სამაგიდო წიგნია რუსეთის ყველა უროლოგისათვის.**

მე და ჩემი კოლეგები ვუსურვებთ პროფესორ მანაგაძეს ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ექიმის, მეცნიერისა და პედაგოგის სტატუსში.

**დარეზკოვი სერგეი პეტრეს ძე**

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის საქმეთა მმართველობის მთავარი უროლოგი, რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის უროლოგიის კათედრის პროფესორი.

\* \* \*

**ჩემი პირველი შეხვედრა**

პროფესორ ლაურ მანაგაძესთან მოხდა 1986 წელს, საქართველოში ჩემი პირველი ჩამოსვლისას. მას შემდეგ ჩვენი ურთიერთობა არ შეწყვეტილა და განსაკუთრებით ინტენსიური გახდა იმ პერიოდში, როდესაც გერმანიის უროლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი და ევროპის უროლოგთა ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების კონსულტანტი ვიყავი. მანპაი მის უნივერსიტეტის უროლოგიურ კლინიკაში ჩემი დირექტორობის დროს, პროფ. მანაგაძემ გამომიგზავნა თავისი რამდენიმე თანამშრომელი სტაჟირებისა და სამეცნიერო თანამშრომლობის მიზნით. ისევე როგორც ჩემი პედაგოგი, პროფესორი რუდოლფ შოპენფელერი, მე ყოველწლიურად ჩამოვდივარ თბილისის უროლოგიის ეროვნულ ცენტრში თქვენი სპეციალისტების განათლებისა და ტრენინგის მიზნით. გამომდინარე აქედან, მე ძალიან კარგად ვიცნობ პროფ. მანაგაძეს, მის უროლოგიურ ცენტრსა და ცენტრის წამყვან სპეციალისტებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, სამედიცინო ცენტრის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის ლიდერზე. პროფესორმა მანაგაძემ, წლების განმავლობაში დაუღალავი შრომით მოახერხა უმაღლესი ხარისხის სამედიცინო ცენტრის შექმნა. უროლოგიის ცენტრში ნამკურნალები პაციენტების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. მაგრამ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ იზრდება მომსახურების ხარისხი, რაც გამოიხატება წარმოებული ოპერაციების მრავალფეროვნებასა და სირთულეში. პროფ. მანაგაძემ ამ მიზანს მიაღწია პროფესიონალთა გუნდის შექმნით, რომლებიც ევროპის მასშტაბის ექსპერტებად ჩამოყალიბდნენ.

პროფ. მანაგაძეს აქვს ბრწყინვალე რეპუტაცია ევროპულ უროლოგიაში, რაც დადასტურდა მისი ევროპის უროლოგთა ასოციაციის საპატიო წევრად არჩევით. უროლოგიის ღრმად ცოდნის წყალობით მან მოახერხა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უმაღლესი სტანდარტების დანერგვა უროლოგიის ეროვნულ ცენტრში. მისი, როგორც ლიდერის დამსახურებაა, რომ უროლოგიის ცენტრი დღეს სთავაზობს თავის პაციენტებს იმავე ხარისხის სამედიცინო მომსახურებას, როგორსაც დასავლეთ ევროპის ნებისმიერი საუნივერსიტეტო კლინიკა. ცენტრის სამეცნიერო მიღწევები ასევე საერთაშორისოდ გაზიარებული და აღიარებულია.

პროფ. მანაგაძე არის არაორდინარული პიროვნება, ექიმი და მეცნიერი. არ შემიძლია არ აღვნიშნო მისი გამორჩეული ეთიკური და მორალური თვისებები. იგი დიდოსტატია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. განუზომელია მისი, როგორც ლიდერისა და მასწავლებლის, ნიჭი და შესაძლებლობები.

**პეტარ ალკანი**

პროფესორი, გერმანიის უროლოგთა ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი, მანპაიმის საუნივერსიტეტო კლინიკის უროლოგიის დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი

# პროფესიონალი სამუშაო

**ზბრინები მისნიერისა და  
მოლვანის პორტრეტისათვის  
მისივე კოლავის დახმარებით**

მისი ავტობიოგრაფია, ახლა რომ „სივს“ ეძახიან (CV – ურიკულუმ ვიტაე), რვა ფურცელზე ვერ ეტევა. გამორჩეულად ვრცელი მონოგრაფიების, სახელმძღვანელოებისა და სხვა სამეცნიერო პუბლიკაციების ჩამონათვალია. შთაბეჭდილება სამსახურებრივი გამოცდილების აღწერაც, მაგრამ ერთი ჩანაწერი განსაკუთრებით მრავალსიტყვილია: „1991-1992. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. რექტორი.“

ვინც მის პიროვნებას მიახლოებით მაინც იცნობს, არ დაებადება კითხვა: რატომ მაინც დამაინც ამ წლებში და არა მანამდე და მით უფრო – შემდეგ?

მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერისა და მედიკოსის ეროვნულ-მოქალაქეობრივი პოზიცია საყოველთაოდ ცნობილია, თუმცა, აქვე ესეც უნდა ითქვას: მისი ცხოვრება და ღვაწლი ნათელი დადასტურებაა იმ მრწამსისა, რომელსაც რეზო თაბუკაშვილი ასე გამოხატავდა: „პატრიოტიზმი პროფესია არ არის. პროფესიონალი ზმია პატრიოტიზმი, ოღონდ მაშინ, თუ ეს პროფესიონალიზმი სამშობლოს ემსახურება.“

დროა, ვახსენოთ და ზოგიერთი ტიტული მაინც დავუერთოთ: ლავრენტი (ლაურ) მანაგაძე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, უროლოგიის ეროვნული ცენტრის დირექტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი...

უროლოგიის ინსტიტუტს 1985 წლიდან ხელმძღვანელობს.

შეუძლებელია, არ გაიკვიროთ: როგორ გამოატარეს ეს დაწესებულება, თავისი ცხრასართულიანი შენობით, ურთულეს წლებს? როგორ გადაარჩინეს გაპარტახებას მხედრიონობისას ან გაყიდვას „იმ ცხრას წლის“ განმავლობაში?

ახლა, როცა ბატონ ლაურის ღვაწლზე მის კოლე-



ლაურ მანაგაძე და მისი მასწავლებელი ბარტონის შარბინს საუნივერსიტეტო კლინიკის უროლოგიური დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი, აკადემიკოსი მორის მებელი (მარცხნიდან მეორე.)

გას, პროფესორ თემურ ჩიგოგიძეს ვესაუბრები, უპირველესად, სწორედ ამას ვეკითხები.

– აი, მისი პასუხიც: – სხვათა შორის, ეს ბევრს უკვირს. მართლაც ურთულესი წლები გამოვიარეთ. ბევრი რამ სწორედ ბატონი ლაურის დიდმა პიროვნულმა და მეცნიერულმა ავტორიტეტმა განსაზღვრა. არა მხოლოდ შენობა, რაც მთავარია, დარგი გადავარჩინეთ და იმ რთულ პერიოდში, ახალი მეთოდიც კი დავანერგეთ: „ხელოვნური შარბინის ბუშტის ფორმირება ნანლავის გამოყენებით.“ 1993 წელს ბატონი ლაურის ხელმძღვანელობით დავიცავი დისერტაცია, რომელიც ამ საკითხს ეხებოდა.

ზემოსხენებულმა მეთოდმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. უროლოგთა მეორე მსოფლიო შეკრებაზე, ქალაქ მაინცში, ის უროლოგთა მსოფლიო საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორმა რუდოლფ შოპენფელერმა ნარადგინა და იქვე წამოაყენა წინადადება, რომ ჩვენი ქვეყნისა და მისი დედაქალაქის პატივსაცემად, ამ სახელს „თბილისის ტომრაკი“ დარქმეოდა. ჩვენ მიერ დანერგილი მეთოდი სწორედ ამ სახელით შევიდა ინგლისსა თუ იაპონიაში გამოცემულ უროლოგიის მსოფლიო ატლასებში. 2004 წელს კი ჩვენი მეთოდი საქართველოს სახელმწიფო პრემიით აღინიშნა.

– მეცნიერის პორტრეტისათვის ეს ერთი შტრიხიც შთაბეჭდილება. ბატონი ლაურის პიროვნულ თვისებათაგან რომელს გამოარჩევდით?

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რომორ აისახება აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკებზე ნატოს უელსის სამიტის გადამწყვეტილება საქართველოსთვის „მაქსიმალური თანამშრომლობის“ პაკეტის მიზნებზე?

ოთხშაბათს, როდესაც აჯამებდა ამიერკავკასიაში უშიშროებისა და სტაბილურობის უენევის დისკუსიის მორიგი რაუნდის შედეგებს, რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიორგი კარასინმა განაცხადა, რომ საქართველოში ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსება ამიერკავკასიაში საფრთხეს შეუქმნის სტაბილურობას. ამ განცხადებას გამოეხმაურა საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია. მან აღნიშნა, რომ რუსეთი თავად არის სამხედრო საფრთხის წყარო რეგიონისთვის, ამიტომ კავკასიაში სტაბილურობის შენარჩუნებისათვის ეს საფრთხე აუცილებლად უნდა შევავსოთ.

რუსეთის სამხედრო ექსპერტი, გადამდგარი პოლკოვნიკი ვიქტორ ბარანეცი ამბობს, რომ რუსეთის საპასუხო რეაქცია საქართველოში სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსებაზე ნატოს ინტერესებისათვის, დიდხანს არ გვალოდინებს: „არ გამოვრიცხავ, რომ იქნება ჩვენი სასაზღვრო სამსახურის კონტინგენტის გაძლიერება, თუ გნებავთ, ერთობლივი სასაზღვრო სამსახურიც კი. არ გამოვრიცხავ, რომ იქ გაჩნდება საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, ტანკსაწინააღმდეგო ნაგებობები, არტილერია. ვფიქრობ, რომ შეიძლება შეიარაღებისა და პირადი შემადგენლობის მთელი კომპლექსი იმ სამხედრო საფრთხეების შესაბამისად, რომლებიც ჩამოყალიბდება საქართველოს ტერიტორიაზე. ვფიქრობ, რომ ჩვენი სამხედრო ბაზები, რომლებიც ამჟამად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშია, შეიძლება გაძლიერდნენ ისე, როგორც ამას აკეთებს ნატო ევროპაში.“

რუსი პოლიტიკოლოგი ნიკოლაი სილავევი არაა სიტუაციის დიპლომატიზების მომხრე: „ვფიქრობ, რომ მას შემდეგ, რაც

# რა უნდა თქვას მოსკოვმა?

ააგებენ სასაზღვრო ნაგებობებს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, არაფერი მათზე გავლენას უკვე აღარ მოახდენს, ვინაიდან ამ მომენტისათვის იქ საზღვარი დაცემენტებული იქნება. ამასთან დაკავშირებით, იქნება რაღაც აზრთა სხვადასხვაობანი, მაგრამ პოლიტიკური ტურბოლენტურობა, რაც საზღვრებთანაა დაკავშირებული, დამთავრდება.“

ისე მოხდა, რომ ერთ-ბაშად რამდენიმე მოვლენამ ერთ წერტილში მოიყარა თავი: „მაქსიმალური თანამშრომლობის“ პაკეტი, აფხაზეთ-საქართველოს საზღვარზე ხუთი გამტარი პუნქტის დაკვეთვა და სამხრეთი ოსეთის პოლიტიკოსების ამასნიანდელი განცხადება საქართველოს მხრიდან მზარდი საფრთხის შესახებ, ლენინგრის რაიონში ქართული სათემოს, ბოლოს და ბოლოს, არჩევნის გაკეთება იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ მხარეს უნდა იყვნენ.

ეს ყოველივე უნებლიეთ გვიბიძგებს შეკითხვას: როგორ აისახება ახალი რე-

**სამხედრო შესაძრავი მიიჩნევენ, რომ საქართველოში ნატოს ინფრასტრუქტურის განთავსება რუსეთის საპასუხო რეაქციას დიდ სინთ არ დააყოვნებს**



ალიები ამ ადამიანების მდგომარეობაზე? მაგალითად, შენარჩუნდება თუ არა თავისუფალი გადაადგილება საზღვარზე წეროვანის იმ მცხოვრებლებისათვის, რომლებიც ლენინგრის რაიონში მუშაობენ, ან, ვთქვათ, ხომ არ მოუწევთ იმათ, ვინც სამხრეთ ოსეთში დარჩა საცხოვრებლად, ჩავიდნენ საქართველოში ნათესაებთან ზემო ლარსის გავლით?

„ამის შესახებ მსჯელობა ძნელია, – ამბობს სილავევი. – იმიტომ, რომ კონფლიქტის ზონაში არსებობს ურთიერთობათა სხვადასხვა დონეები. არის რუსეთ-ნატოს ურთიერთობა-

სახელმწიფოთა ხელისუფლებებთან. და აქ სოხუმისა და ცხინვალის მოქმედებებს, მთლიანად შეიძლება არ ჰქონდეს პირდაპირი დამოკიდებულება იმასთან, რაც ხდება რუსეთსა და ნატოს შორის ან მოსკოვსა და თბილისს შორის. მიმაჩნია, რომ მათი პოლიტიკა ქართულ სათემოებთან დაკავშირებით დიდად არის დამოკიდებული უფრო მეტად, შინაპოლიტიკურ დინამიკაზე, ვიდრე საგარეო პოლიტიკურზე.“

– მაგრამ მეორე მხრივ, – ესენი სატელიტი სახელმწიფოებია. როგორც მოსკოვი ეტყვის მათ, ისეც იქნება საქმე?

– არა, სულაც არა. მიმაჩნია, რომ გარედან მოთამაშეები დიდად აჭარბებენ, როდესაც საუბრობენ მათს მართებს რუსეთის მხრიდან. და შემდეგ, რა უნდა თქვას მოსკოვმა? საერთოდ, როგორმე შეიძლება გადაიჭრას აფხაზეთში პასპორტების პრობლემა ქართველებისათვის გალის რაიონიდან? არის კი აქ რაიმე მზა გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება უკარნახოს მოსკოვმა? რაც შეეხება იმას, თუ რა გავლენას მოახდენს საერთაშორისო საქმეები ამ პრობლემატურაზე: ვფიქრობ, თუ რომელიმე პოლიტიკოსი თავის მიზნად დაისახავს, როგორმე შეავიწროვოს ქართული სათემო, მას შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი არგუმენტი, მათ შორის, ისეთი ბარომეტრებიც, რომლებიც განეკუთვნება გლობალური უშიშროების სფეროს. უფრო მეტიც, ამ არგუმენტებს ყოველთვის იყენებდნენ და იყენებენ. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ თავად ეს გლობალური პოლიტიკის ვითარებანი გავლენას მოახდენენ იმ გადაწყვეტილებებზე, რასაც ამ საკითხთან დაკავშირებით დებულობენ ცხინვალში ან სოხუმში?

**ტიმსტი შვიცაძის ტოპონიმებსა და ტერიტორიების, რომლებსაც იყენებენ თვითმართვალადი აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი.**



დედაიწიის ზურგზე



თურქეთი დათანხმდა, მისცეს ავსტრია-უნგრეთის იმპერიის „სლავური სახელმწიფოები“ დარტყმის მიზანმიმართულად

თურქული ბაზების გამოყენების დეტალები ამერიკის სამხედრო საჰაერო ძალებისათვის ამჟამად მუშავდება. ადრე თურქეთის ხელისუფლება აცხადებდა, რომ ქვეყანა არ მიიღებს მონაწილეობას სამხედრო ოპერაციებში „სლავური სახელმწიფოები“ ბოვიკების წინააღმდეგ და არ მისცემს თავის სამხედრო ბაზებს კოალიციის ძალების განსათავსებლად. ამ დროს თურქეთის ჩარევას კონფლიქტში მოითხოვენ ქურთი მოსახლეობა ქვეყნის შიგნით და თურქეთის უცხოელი პარტიზორები.

სამხრეთ კორეის კორეის სახელმწიფო-დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრისკენ გადასახდებიან და აცხადებენ მზადყოფნას, განასახლოონ მოლაპარაკება ფინანსთან



სეულმა დამატებითი შეიარაღება განათავსა კორეის სახელმწიფო-დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეებზე და კუნძულებზე ყველაზე უფრო და გააქტიურა მეთვალყურეობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან მჭიდრო თანამშრომლობით. ეს გაკეთდა მზარდ სამხედრო საფრთხის ფონზე ჩრდილოეთი მეზობლის მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ კორეის რესპუბლიკა ემზადება მკაცრი პასუხისთვის შესაძლო პროვოკაციებზე, მას განზრახული აქვს გააგრძელოს დიალოგი კორეის სახელმწიფო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, განაცხადა კორეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა.



ევროპული კავშირი განაგრძობს მონაწილეობას კანონმდებლობის თანახმად, პრეზიდენტის არჩევნებში გამარჯვებისათვის პირველ ტურში კანდიდატმა უნდა დააგროვოს ამომრჩეველთა ხმების 40-ზე მეტი პროცენტით, თუ იგი უსწრებს თავის უახლოეს კონკურენტს თუნდაც 10 პროცენტით. ეგვიპტელების მონაცემებით, მორალესს 40 პროცენტზე მეტი ხმა აქვს, მის უახლოეს კონკურენტს სამუელ დორია მედინს – 20 პროცენტზე ნაკლები.

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, პრეზიდენტის არჩევნებში გამარჯვებისათვის პირველ ტურში კანდიდატმა უნდა დააგროვოს ამომრჩეველთა ხმების 40-ზე მეტი პროცენტით, თუ იგი უსწრებს თავის უახლოეს კონკურენტს თუნდაც 10 პროცენტით. ეგვიპტელების მონაცემებით, მორალესს 40 პროცენტზე მეტი ხმა აქვს, მის უახლოეს კონკურენტს სამუელ დორია მედინს – 20 პროცენტზე ნაკლები.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პრეზიდენტი – პოლიტიკური ხელმძღვანელობის უმაღლესი კოლექტიური ორგანოა, პრეზიდენტის პოსტის ანალოგიურად. იგი შედგება სამი კაცისაგან – ესენი არიან სერბების, ხორვატებისა და მუსულმანების წარმომადგენლები. წინასწარი მონაცემებით ხელმძღვანელ თანამდებობებს დაიკავებენ ფელკა ცვიპანოვიჩი, ზრდავკო ჩოვიჩი და ბაკირ იზბებეგოვიჩი შესაბამისად.

ისტორიის პარადოქსები

ნაპოლეონის ორეულაბის საიღუმელოება

დასკვნა იმის შესახებ, რომ გარდაცვლილის მუხლები შეიძლება თავისით მოხრილიყო ინგლისელი გრენადერების მიერ კუბოს არაფრთხილი გადატანის დროს, კრიტიკას ვერ უძლებს. იმპერატორი 5 მაისს გარდაიცვალა, კუბო კი დასაბრუნად 9 მაისს გადაიტანეს, ესე იგი ოთხი დღის შემდეგ.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: დოქტორ ფრანჩესკო ანტომარკისა და კუნძულის გუბერნატორის ჰადსონ ლოუს დამონებით, ვერცხლის ჭურჭლები, რომელშიც იყო იმპერატორის გული და კუჭი, 1821 წელს მოათავსეს კუბოს ნაპირებზე (თავისუფალი ადგილი ამის საშუალებას იძლეოდა), 1840 წელს კი ექსპუმაციის დროს ისინი აღმოაჩინეს მოლუნული მუხლების ქვეშ გარდაცვლილისა, რომელიც ამავე დროს ოდნავ უფრო მაღალი აღმოჩნდა. ასევე 1840 წელს გარდაცვლილის ფეხებზე ვერ აღმოაჩინეს აბრეშუმის წინდები, რომლებიც იმავე მარშანის დამონებით, ეცვა იმპერატორს ჩექმებქვე. ისინი თავისით ხომ ვერ გაქრებოდნენ? დაბოლოს, იმპერატორის სიკვდილის შემდგომი თაბაშირის ნილაბი, რომელიც დოქტორმა ანტომარკმა დაამზადა, ვისია იგი სინამდვილეში?

რუა-ანრი ამტკიცებს, რომ იგი ყალბია, ვინაიდან შეიცავს დაახლოებით სამდღიანი ბუნვის მუქ თმებს (3-5 მილიმეტრი), იმ დროს, როდესაც ნაპოლეონი წმინდად იყო გაპარსული.

ლოზანის (შვეიცარია) მუზეუმში საყოველთაო დათვალიერებისათვის წარმოდგენილია ნაპოლეონის სიკვდილის შემდგომი ნილაბი და მისი თმების კულულები. ნილაბი 1848 წელს მუზეუმს გადასცა წმინდა ელენეს კუნძულზე იმპერატორის ერთ-ერთმა მოსამსახურემ ჟან-აბრაჰამ ნოვერამ, რომელსაც იგი „თავის შვეიცარიელ დათეს“ უწოდებდა და რომელსაც სიკვდილის წინ შესანახად გადასცა თავისი ყოველდღიური მოხმარების საგნები. თმის კულულები, თითქოს ჩამოპარსეს ნაპოლეონის გარდაცვალების შემდეგ და, როგორც ნილაბიც, მოხვდა ნოვერის ხელში, რომელმაც ისინი, თავის მხრივ, გადასცა ლოზანელ იუველიერს მარკ ჟელის (ოდესლაც ის პარიზის ნაპოლეონის საიუველიერო სახელოსნოში მუშაობდა, და სწორედ ამით აიხსნება ასეთი დიდსულოვნური ჟესტი ყოფილი მოსამსახურის მხრიდან). კულულები მუზეუმში მოხვდა 1901 წელს ჟელის ნათესავისგან.

შვეიცარიული გაზეთის „Matin Dimanche“ ჟურნალისტებმა, რომლებიც საკუთარ გამოკვლევას აწარმოებდნენ, გამოარკვიეს, რომ არის კიდევ ერთი კულულები, რომელიც ამ ბოლო დრომდე ინახებოდა ლოზანის მცხოვრებთან ედგარ ნოვერასთან, ჟან-აბრაჰამ ნოვერას მემკვიდრესთან. თმების შედარების შედეგი იყო გამაოგნებელი. კულულები სრულიად სხვადასხვაგვარები აღმოჩნდა: პირველი იყო მოთეთრო – ქერა, თხელი და ფაქიზი, როგორც ბავშვისა, მეორე – შავი და სქელი. რომელია მათგან ნამდვილი?

მეცნიერები უსასრულოდ შეუძლიათ, იდავონ ნაპოლეონის გარდაცვალების მიზეზების შესახებ, როდესაც ანალიზს უკეთებენ დარიშხანის შემცველობას მის თმებში, მაგრამ ყოველივე ამას არ ექნება არა-

დასასრული. დასაწყისი № 209



ნაპოლეონის სიკვდილის შემდგომი ნილაბი, რომელიც აიარა (პორსიკა) მუზეუმში ინახება.

რამდენი ყალბი იმპერატორი იყო?



ნაირი აზრი მანამ, სანამ ზუსტად არ დაადგენენ, რომელი კულულები მოაჭრეს 1821 წელს ნაპოლეონს და იყო თუ არა ის გარდაცვლილი მართლაც ნაპოლეონი? რუა-ანრის სიკვდილის შემდგომ ნილაბთან დაკავშირებით, მაგალითად, დარწმუნებული ვარ, რომ ის ეკუთვნის არა იმპერატორს, არამედ, შეიძლება, ფრანჩესკო კიპრიანის, ასევე კორსიკელს, რომელიც ძალიან ჰგავდა იტალიური კამპანის და ეგვიპტის ექსპედიციის დროინდელ ნაპოლეონ ბონაპარტს.

სიკვდილის შემდგომი ნილაბი... მებრძოლი ვინ?


შეპირადი ამაზე უფრო დაწვრილებით. როგორც ცნობილია, არსებობს ნაპოლეონის ეგრეთ წოდებული სიკვდილის შემდგომი ნილაბების ბევრი რაოდენობა, მაგრამ სიკვდილის შემდგომ მართლაც იყო ერთი, რომელიც დოქტორმა ანტომარკიმ გააკეთა უშუალოდ წმინდა ელენეს კუნძულზე. იმპერატორის თავის ტვიფრი მან 1821 წლის 7 მაისს საღამოს ოთხ საათზე გააკეთა ბრიტანელი სამხედრო მედიკოსის ფრენსის ბარტონის თანდასწრებით ცუდი ხარისხის თიხისაგან, რომელიც კუნძულზე ნახეს. თაბაშირის ამონაბეჭდი სამი ნაწილისგან შედგებოდა: პირველი ნაწილი მოიცავდა უშუალოდ სახეს, მეორე – ნიკაპსა და ყელს, მესამე – შუბლის ზედა ნაწილს, აგრეთვე კეფის ზედა და უკანა ნაწილს. 8 მაისს გაიკვავა, რომ ნილბის პირველი ნაწილი სადღაც დაიკარგა. არის ვარაუდი, რომ იგი მაღამ ბურტრანმა გენერალ ბურტლანის ცოლმა მოიპარა, შემდეგ კი გადასცა დოქტორ ანტომარკის. ბარტონმა კი დატოვა კუნძული მხოლოდ ორი დარჩენილი ნილაბით. კუნძულზე დარჩენილი ანტომარკი მის ხელთ არსებული ნაწილებს ბაზაზე შეეცადა, აღედგინა ნილაბი მთლიანად, რისთვისაც გამოიყენა სიკვდილის ნილაბის ინგლისელმა მხატვარმა რუბინჯმა შეასრულა. სწორედ ეს ნილაბია აღიარებული ახლა ყველაზე სარწმუნოდ, ვინაიდან ყველა დანარჩენი არის ან იმისი ასლი, ან თვითშემოქმედებითი რეკონსტრუქცია. სწორედ იგია წარმოდგენილი პარიზში ინვალიდების სახლში. მაგრამ ამ ისტორიაში ბევრი რამ გაურკვეველია.

ჯერ ერთი, როგორც რუა-ანრი ამტკიცებს, დოქტორმა ანტომარკიმ არსებითად შეალამაზა ნილბის პირისპირის ნაწილი, და ყიდდა მას ნაღმა-უკულმა.

მეორეც: ვინ დაადასტურა, რომ ეს, თუნდაც, შელამაზებული, ნილაბი არის თავად ნაპოლეონისა? ცნობილია, რომ იმპერატორის გარდაცვალებაზე ყველა დამსწრე აღნიშნავდა, რომ გარდაცვალებიდან პირველ საათებში ის გაახალგაზრდავებულად გამოიყურებოდა. იგივე ბერტრანი, კერძოდ, წერდა: „რვა საათზე დაიწყეთ მზადება იმპერატორის ნილბის გასაკეთებლად, მაგრამ ხელი არაფერი აუცილებელი არ გაგვანდა. იმპერატორი უფრო ახალგაზრდული გეგონებოდა, ვიდრე ის სინამდვილეში იყო: გეჩვენებოდა, რომ ის ორმოცზე მეტი წლისა არაა. საღამოს ოთხი საათისთვის იგი თავის წლებზე უფრო ხნიერად გამოიყურებოდა“. ბერტრანის აღწერილი 6 მაისის საღამოს განეკუთვნება. ზუსტად ერთი დღე-ღამის შემდეგ ბერტრანი აღნიშნავდა: „საღამოს ოთხი საათისთვის გაკეთდა იმპერატორის თაბაშირის ნილაბი, რომელიც უკვე მთლიანად გაუსახურებული იყო და არასასიამოვნო სუნს გამოსცემდა“.

ასეთ ვითარებაში როგორ შეიძლება ამტკიცო, რომ ჩვენს დღემდე მოღწეული ნილაბი სწორედ ნაპოლეონისაა, იგი ხომ წარმოადგენს შედარებით არა ახალგაზრდა კაცის სახეს, არამედ სამოცი წლის ავადმყოფი მოხუცისა?

მესამეც, დოქტორ ანტომარკის თანახმად, ნაპოლეონის თავის მოცულობა 56,20 სანტიმეტრს შეადგენდა. მაგრამ, კონსტანსი, ნაპოლეონის მოსამსახურის, მონაცემებით, რომელიც მასთან 14 წელი მუშაობდა და პასუხისმგებელი იყო მი-



ნაპოლეონის ნილაბი, 1821 წელი

სი ქულების შეკერვაზე, იმპერატორის თავის მოხაზულობა 59,65 სანტიმეტრს შეადგენდა!

ერთი სიტყვით, ჩვენ, შეიძლება, მაინც ვერასოდეს გავიგებთ, თუ ვისი ნილაბია წარმოდგენილი მუზეუმებში, როგორც იმპერატორის ნილაბი (რობოსი, კიპრიანისა თუ ვინმე სხვისა). ზუსტად ასევე ჩვენ, როგორც ჩანს, ვერასოდეს გავიგებთ, ვინ განისვენებს პარიზში ინვალიდების სახლში – ნაპოლეონი თუ ვინმე მისი ორეულელებიდან.

შეიძლება, რასაკვირველია, მოაწყოს სხეულის მორიგი ექსპუმაცია და განახორციელო გარდაცვლილის დნმ-ს ანალიზი, დაუპირისპირო იგი ნაპოლეონის პირდაპირი მემკვიდრეების დნმ-ს. მაგრამ ოფიციალური ხელისუფლება ამ თემაზე ფიქრის საშუალებასაც არ იძლევა.



ჩვენი რედაქციის მინაწილი: ბუნებრივად ჩნდება შეკითხვა, ყოველივე ამის შემდეგ ვისი შეიძლება იყოს ზუგდიდის დადიანების სასახლის მუზეუმში ჩვენი სიძის აშილ მიურატის მიერ პარიზიდან ჩამოტანილი ნაპოლეონ ბონაპარტის ნილაბი?

საოკ-ის იუბილე

მეოთხედი საუკუნის გადმოსახედიდან

ბასში კვირას თბილისში დიდი ზეიმით აღინიშნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 25-წლიანი იუბილე, რომელსაც ესწრებოდნენ საოკ-ის პრეზიდენტი თომას ბახი, ოლიმპიური სოლიდარობის დირექტორი პერე მირო, ქართველი ემიგრანტი, საოკ-ის პროტოკოლის უფროსი მარინა ბარამია, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი პატრიკ ჰიკი და სხვა უცხოელი მალაჩინოსნები თუ ოლიმპიური ჩემპიონები. სტუმრებს ჯერ ქვეყნის პრემიერი ირაკლი ლარიბაშვილი შეხვდა, შემდეგ – პრეზი-

დენტი გიორგი მარგველაშვილი. საოკ-ის ოფისში გაიხსნა ლევან ვარდოსანიძის ხუთ ოლიმპიურ ფერში გადაწყვეტილი მონუმენტური სკულპტურა „ოდა ოლიმპიურ ჩემპიონებს“. 34 ვარსკვლავის ფორმის ფირფიტაზე ამოტვიფრულია ამდენივე ოლიმპიური ჩემპიონის გვარ-სახელი გამარჯვების თარიღთან და მასპინძელ ქალაქთან ერთად. საიუბილეო დღეები რუსთაველის თეატრში გამართული გრანდიოზული საზეიმო შეხვედრით დასრულდა. „საქართველო იქნებ პატარა ქვეყანაა თავისი მასშტაბებით,



მაგრამ გყავთ შესანიშნავი სპორტსმენები და გაქვთ დიდი, ფართო გული, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია“ – ასე გამოხატა თავისი დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისადმი საოკ-ის პრეზიდენტმა, რო-

მელმაც ბოლოს მადლობა ქართულად გადაიხადა. **თამაზ პატარია** **სურათზე: მარცნიდან – თომას ბახი, ირაკლი ლარიბაშვილი, ლერი ხაბელოვი.**

საგო

13 მედალი და გუნდური მეორე ადგილი

ოთხი ოქროს, ექვსი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი – ასეთი ნადავლით დაასრულეს ჭაბუკმა და ახალგაზრდა ქართველმა სამბისტებმა მსოფლიოს ჩემპიონატი სეულში. ჭაბუკების ანგარიშზეა 7 (3,3,1), ხოლო ახალგაზრდებისაზე 6 (1,3,2) ჯილდო.

ჭაბუკებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ირაკლი კუბატაძე (52 კგ), ჯაბა ქურდიანი (60) და ივანე ჩურჩხელაშვილი (75), რომლებმაც შახზოდ ნურმატოვი (უზბეკეთი), სერგეი ვოროტინცევი და კონსტანტინ უდოვი (ორივე რუსეთი) დაამარცხეს, თანაც კუბატაძემ დუბლი შეასრულა – წლეულს აპრილში ევროპის პირველობაც მოიგო. მხოლოდ ფინალურ პაექრობებში დათმეს და ვერცხლის

მვრო – 2016

დაცემის ანატომია



მამინ, როცა ზოგ-ზოგიერთები (მაგალითად, პოლონელები და სლოვაკები) მსოფლიოსა და ევროპის მოქმედ ჩემპიონთა – გერმანიელთა და ესპანელთა დამარცხებას ახერხებენ, ხოლო ჩვენი მეზობელი სომხები შინ ბოლო წუთზე აძლევენ ქულის მოპოვების საშუალებას სერბებს, საქართვე-

ლოს ეროვნული ნაკრები განაგრძობს სამშობლოს შერცხვენას და თაობათა მიერ რუდუნებით შექმნილი ავტორიტეტის შეზღავდვას. „ჯვაროსანთა“ ქომაგებს მორიგი განზილება „ევრო-2016“-ის შესარჩევი რაუნდის მეორე ტურში ელოდათ, არადა მათი მეტოქის – შოტლანდიის გუნდის თამაშის

შემხედვარე იფიქრებდი, მკვდარი მკვდარს აეკიდაო. მით უფრო დასანანი თემურისა და მისი რაზმის კიდევ ერთი კრახი.

ისე, კაცმა რომ თქვას, ქეცბაიას მიერ შერჩეული ტაქტიკა უფრო ანტიფეხბურთად არის ცნობილი და ყრუ დაცვაში ჩაჯდომა მხოლოდ ერთ კითხვას აჩენს – როდემდე გაუძლებ მონინააღმდეგის იერიშებს.

ამჯერად მხოლოდ 27 წუთის განმავლობაში შევინახეთ კარი მშრალად. ეს, ერთის მხრივ, კარგიც იყო – მდგომარეობის გამოსასწორებლად საათზე მეტი გვრჩებოდა, თუმცა, იმდენად უსუსური ნაკრები გვყავს, რომ განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად ზუსტად ერთხელაც ვერ დავეურცყით მასპინძლებს. სხვათა შორის, არც ვიმასხურებდით.

დღეს, იმედია, ტოლ-სწორად გავუმკლავდებით გიბრალტარს, რომელმაც ჯერჯერობით გამართული ორივე მატჩი 0:7 წააგო. ეჰ, სადამდე დავეშვით?!

გიორგი შოთაძე



ქიულ

სალიხანეიო ზონას უახლოვდება

ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში დაამთავრდა ძიუდოისტთა დიდი პრიზის გათამაშება, რომელშიც საქართველოს ხუთი წარმომადგენელი მონაწილეობდა. ჩვენებურთაგან მხოლოდ ესთერ სტამბა (70 კგ) იყო ჩალა – ვერცხლის მედალი მოიპოვა. საქართველოს ქალთა ნაკრების წევრს ფინალამდე სამი შეხვედრის მოსაგებად ხუთიოდე წუთი დასჭირდა: ჯერ ლიორ ვილიკანი (ისრაელი) შებოჭა, მერე დილბარ უმირალიევა (ყაზახეთი) და სანდრა დიტრიხი (გერმანია) დაამარცხა იპონებით, გადამწყვეტი პაექრობა კი ისევ ავსტრიელ ევროპის ორგზის ბრინჯაოს მედალოსან ბერნადეტ გრაფთან დათმო, ვისთანაც ავსტრიელის მსოფლიოს პირველობაზეც წააგო. ახლა სტამბის ანგარიშზეა 431 ქულა და რეიტინგში 33-ე ადგილი უკავია. იგი ნელ-ნელა სალიხანეიო ზონას უახლოვდება. ასტანაში ლაშა შავდათუაშვილი (73), ამბაკო ავალიანი (81), ძმები – ადამ და ვახტანგ ოქრუაშვილები (+100) კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ.

გივი გაგუა

ლაშა დიღია

თაოკა

ნამუსი მოგვნიდა

სამბართველს 19-წლამდელთა ნაკრებმა ბრწყინვალედ დაასრულა ცუდად დაწყებული საქმე და გაიხად ევროპის ჩემპიონატის ელიტ რაუნდში ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ გიორგი დევდარიანის შეგირდებმა თბილისში გამართული საკვალიფიკაციო ტურნირის სასტარტო მატჩი მონტენეგროელებთან დათმეს – 0:2, თუმცა შემდეგ ერთნაირი ანგარიშით – 3:1 ზედიზედ სძლიეს კვიპრო-

სელ და რუმინელ თანატოლებს, რამაც 6 ქულა და ჯგუფში მეორე ადგილი მოგვცა. კარპატელებთან გუშინდელ ბრძოლაში გოლები კიტევილიმა, ბერიძემ და მალანამ გაიტანეს, საუკეთესო შობაქცილებმა კი, ტრადიციისამებრ, გუნდის კაპიტანმა ზარანდიამ მოახდინა, რომელიც ოქრიაშვილთან ერთად ბელგიურ „გენკში“ ირიცხება.

ვიმედოვნებთ, მომავალ ბატალიონში ჭაბუკ „ჯვაროსანთა“ პოტენციალს კიდევ უფრო გაზრდის ტრავნიკი და დაცვის ბურჯების ტაბიქისა და თევზაძის მწყობრში დაბრუნება.

რეზი

„ყოჩები“ – უდანაკარგოდ

სამბართველს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის მე-6 ტურში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი“ გათამაშების დებიუტანტსა და აუტსაიდერს – დედაქალაქის „თიბიესს“ დაუპირისპირდა. მართალია, დებიუტანტებს ჯერ არც ერთი შეხვედრა არ მოუგიათ, მაგრამ მეტოქეებს იოლად არ ნებდებიან. ასე იყო რკინიგზელებთანაც პაექრობისას. თავიდან „ლოკომოტივი“ დანიანურად – ლელო დიმიტრი კალანდაძემ გაიტანა – 5:0. მალევე „თიბიესი“ უშანგი მჭედლიშვილმა არეკნითა და ზუსტი საჯარიმო დარტყმით წინ გაიყვანა – 6:5. შესვენების შემდეგ მჭედლიშვილმა ანგარიშში სხვაობა ოთხ ქულამდე გაზარდა – 9:5, რასაც ლოკომოტიველმა ბექა ნიკოლაურმა სამი

უნაკლოდ შესრულებული საჯარიმოთი უპასუხა და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა – 14:9.

დრამატულად წარიმართა მატჩი ქუთაისში, სადაც ადგილობრივმა „აიამ“ საქართველოს ჩემპიონ „ლელოს“ უმასპინძლა. დაპირისპირება უაღრესად დაძაბული გამოდგა. შეხვედრა მასპინძელთა იერიშებით დაიწყო და მე-2 წუთზე გიორგი ფრუიძემ (ლელო) და გიორგი ბაბუნაშვილმა (გარდასახვა) ორინსპირელები დაანინაურეს – 7:0. მალე ირაკლი ყიასაშვილმა ქულათა სხვაობა 4-მდე შეამცირა. მერე ორთაბრძოლა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. საფინალო სასტვენამდე ერთი წუთი იყო დარჩენილი, „ლოკომოტივი“ კი ქულა იკვებდა პაექრობას. ამ დროს სტუმრები დაჯარიმდნენ. ხელსაყ-

რელი პოზიციიდან კარში დარტყმას ქუთაისელებმა ბურთის ხელით გათამაშება არჩიეს და დაისაჯნენ კიდევ – მატჩი 19:20 წააგეს. VI ტურის კიდევ ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: „ყოჩები“ – „არმია“ 24:11, „არმაზი“ – „ხარები“ 14:17.

ლელო ცინცაძე

Table with 6 columns: Team, M, G, S, P, Total. Rows include 'ყოჩები', 'ხარები', 'ლელო', 'ლოკომ.', 'ჯიქი', 'აია', 'არმია', 'არმაზი', 'ბათუმი', 'თიბიეს'.



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი საფეხბურთო მოღვაწე, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **რევაზ მგელაძე** და თანუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

## საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტი (ASP)

საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი (№802-GE) სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტის (ASP) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი დავალების განსახორციელებლად:

**საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების კამპანია**  
**მდგრადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების და სოფლის მეურნეობის დახმარების პროექტის (ASP) ხელშეწყობის მიზნით**

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ინვესტს გამოცდილ ფორმებს გამოხატონ ინტერესი ამ დავალების შესასრულებლად, რომლის მიზანია მთელი ქვეყნის მასშტაბით ფერმერებზე ორიენტირებული კამპანიის ჩატარება სასოფლო-სამეურნეო სეზონის განმავლობაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ინვესტს ადგილობრივი მედიკომპანიებს, მათ შორის, არასამთავრობო მედია ორგანიზაციებს (შემდგომში „კონსულტანტები“), რომლებსაც აქვთ უნარი, გამოცდილება და სათანადო კავშირები, რომ კრეატიული იდეების და მიდგომების გამოყენებით წარმატებით დაეგვიანონ და განახორციელონ საინფორმაციო კამპანია ASP-თვის საქართველოში, რომელიც ამაღლებს საქართველოს მცირემშენი ფერმერების ინფორმირებულობას მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შესახებ და ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ ასპექტებზე:

- ინფორმაციის მიწოდება ამჟამინდელი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის რისკების და არაეფექტურობის შესახებ და ფერმერების დახმარება, რომ უარი თქვან ამგვარ პრაქტიკაზე;
- კლიმატის ცვლილების, მიწის/წყლის რესურსების სათანადო მართვის სარგებელი, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დივერსიფიკაციის მნიშვნელობა და ყველა ამ ასპექტის პოტენციური ფერმერთა შემოსავლების გაზრდის თვალსაზრისით;
- ASP-ის მიღწევების და საქმიანობის, ასევე ამ პროექტის უნიკალური და/ან ინოვაციური თავისებურებების ხაზგასმის.

### დავალების კონკრეტული მიზნები

დავალების კონკრეტული მიზნებია: (i) მკაფიო და ლაკონური გზავნილების და ინფორმაციის, მათ შორის, სამიზნე ჯგუფებზე ორიენტირებული მოწოდებების, მომზადება; (ii) სარეკლამო კამპანიის მომზადება-განხორციელება კომუნიკაციის სათანადო არხების (სოციალური რეკლამა ტელევიზიაში, რადიოში, ავტორუსებზე და სხვა ტრანსპორტზე, ინტერნეტში და სხვა); (iii) საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება (პოსტერები, ბუკლეტები, ნიშნები, ნაბეჭდი მასალები და სხვა).

### სამუშაოების აღწერა

კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ზემოთ აღწერილი მიზნების მიღწევის ყველაზე შესაფერისი სტრატეგია/მიდგომა. კონსულტანტების წინადადებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

1. იმ გზავნილების მომზადება და ტესტირება, რომლებიც მოიცავს მოსახლეობის ზემოთ აღნიშნული სამიზნე ჯგუფებისკენ მიმართულ დადებით ზემოქმედებას და ინფორმაციას;
2. საინფორმაციო მასალების (ბუკლეტები, პოსტერები) შემუშავება და დარიგება სამიზნე ჯგუფებისთვის;

3. მედიაგეგმა სოციალური რეკლამის ვიდეოკლიპების და რადიო განცხადებების გასაავრცელებლად სამიზნე ტერიტორიებზე;

4. სცენარების მომზადება, მიზნობრივი ჯგუფებისთვის სოციალური რეკლამის ვიდეოკლიპების და რადიოგანცხადებების შემუშავება და განხორციელება;

5. სამიზნე ჯგუფების მიხედვით ყველაზე ეფექტური ცენტრალური და რეგიონული სატელევიზიო და რადიოკომპანიების შერჩევა და საეთერო დროის შესყიდვა დადგენილი და დამტკიცებული მედიაგეგმისთვის;

6. მედიის მონიტორინგი კამპანიის საქმიანობის ფარგლებში.

**სამიზნე აუდიტორია:**  
გზავნილების და ინფორმაციის მომზადება მოსახლეობის შემდეგი ჯგუფებისთვის:

1. ქართულენოვანი ფერმერები საქართველოში.
2. რუსულენოვანი ფერმერები საქართველოში

**დავალების ხანგრძლივობაა 4 თვე.** დავალების დაწყების თარიღია 2014 წლის ნოემბერი. ყველა ანგარიში უნდა მომზადდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

**კონსულტანტების საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

ამ დავალებისთვის ფირმას/კომპანიას უნდა ჰქონდეს შემდეგი კვალიფიკაცია:

- საქართველოში საზოგადოების ინფორმირების/საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიების ჩატარების მიმართ 3 წლის გამოცდილება;
- სოციალური გზავნილების საშუალებით საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების მიმართ 3 მსგავსი კამპანიის ჩატარების გამოცდილება, სასურველია, სოფლის მეურნეობის დარგში;
- საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავების და დაგეგმვის გამოცდილება;
- ამ დავალებისთვის გამოყოფილი ძირითადი პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება შესაბამის სფეროში.

**ადგილობრივი საკონსულტაციო ფირმა შერჩეული იქნება კვალიფიკაციის მიხედვით შერჩევის მეთოდით (CQS), რომელიც აღწერილია IFAD-ის შესყიდვების სახელმძღვანელოში (2010 წლის 19 აგვისტოს გამოშვება).**

ინტერესის შემთხვევაში და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ ქვემოთ მითითებულ ელ-ფოსტის მისამართზე. ინტერესის გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს:

1. მოკლე ინფორმაცია თქვენი ფირმის შესახებ;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი (განხორციელების პერიოდის, დამკვეთის, ქვე-კონტრაქტორების და დავალების მოკლე აღწერილობის ჩათვლით);
3. ამ საკონკურსო დავალებისთვის გამოყოფილი ძირითადი პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება შესაბამის სფეროში.

ინტერესის გამოხატვის წერილი ზემოაღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოთ **2014 წლის 27 ოქტომბრის 16 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.**

მარშალ გელოვანის გამზირი №6  
0159 თბილისი, საქართველო  
ტელ.: (+995 32) 237-80-17  
ელ-ფოსტა: l.durmishidze@moa.gov.ge

## ინტერნეტიდან

# სოტნი გამსახურდია: როდესაც ეს ბავშვობიერე, თავის მოკვლა მიხდოდა...

## რამ უნდა აიძულოს შვილი, რომ დაღას დაუპირისპირდეს?!

„მამაჩემის ბარდაცვალების შემდეგ მან ვიწველავი ბაბაქაბაბა საკუთარი მუშაველობით, უზარუნებით, პატივმოყვარეობითა და სიჯიუტით, – ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად – ჩვენი ოჯახის ბასანადგურებლად“, – ამას ცოტნე გამსახურდია საკუთარ დედაზე, მანანა არჩვაძეზე წერს. საკმაოდ ვრცელ წერილში ცოტნე გამსახურდია იმ სირთულეებს აღწერს, რომელსაც, მისი თქმით, მანანა არჩვაძე გამოუდგებოდა უქმნიდა.

ცოტნე გამსახურდია წერს, რომ ამ საკითხზე დამატებით განმარტებებს ჟურნალისტებთან აღარ გააკეთებს, და რომ ეს პირველი და უკანასკნელი კომენტარია ამ საკითხზე.

„21 წლის ასაკიდან მარტო ვცხოვრობ. მივეჩვიე, რომ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა მქონდეს და მარტო ვარ ამქვეყნად, თუმცა ძალიან მიმიყვარს იყო ოდესღაც ჩემთვის ამის გაცნობიერება. ჩვენ სულ სხვა სტერეოტიპებსა და შეხედულებებზე ვიზრდებით, წარმოდგენაც კი არ შემქმნელ ცხოვრების მშობლების, მეგობრების, ნათესავების თუ საყვარელი ადამიანების გარეშე. როდესაც ეს გავაცნობიერე, თავის მოკვლა მიხდოდა... ადრე ბროდსკის ლექსი მაქვს ნათარგმნი, რომელიც ამ სიტყვებით მთავრდება:

*Но пока мне рот не забили глиной,  
Раздаваться из него будет лишь  
благодарность...*

ვცდილობდი ყოველთვის, ბოროტება გულში არ ჩამედო და არ მეცხოვრა სიძულვილით, თუნდაც პრაგმატული მოსაზრებით, რადგან ასეთ ყოფას ცხოვრებასაც ვერ დაუტანებ...

შუბი ხალხში არ იმალება და დღეს იძულებული ვარ ამ უსიამოვნო თემაზე პირველად და უკანასკნელად ხმაბლდა ვილაპარაკო, რათა საზოგადოებას ადეკვატური წარმოდგენა ჰქონდეს იმაზე, რაც ჩემს გარშემო ხდება და გამსახურდების ოჯახის სახელს უკავშირდება.

კაცმა რომ თქვას, ზვიად, უფრო სწორედ კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახი აღარ არსებობს. განსაკუთრებული როლი ამაში სწორედ ჩემს ბიოლოგიურ დედას, მანანა არჩვაძეს ეკუთვნის. მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ მან ყველაფერი გააკეთა საკუთარი შეუგნებლობით, უგზურებით, პატივმოყვარეობითა და სიჯიუტით, – ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად – ჩვენი ოჯახის გასანადგურებლად. პირადად მე ჯერ კიდევ პატიმრობის თითქმის დასაწყისშივე ავუკრძალე მას ჩემი სახელის სხენება რიგ მიზეზთა გამო. მათ შორის, მან ცოცხალმკვდარი მო შიმშილზე შეგნებულად ფსიქიურად დაავადებულად გამოამატება, რადგან ვაგუბდე და მას საყვედური ვუთხარი, რითაც საშუალება მისცა სად-ის ჯალათებს ჩემს წინააღმდეგ საშინელი მეთოდები გამოეყენებინათ – აქაოდა, ხომ ამბობდით გიჟიო და რეალურ ქმედებებზე გადავიდნენ. ასევე, 2008 წელს, აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც მოსკოვ-

ში იქაური სპეცსამსახურების დაკრულზე ცეკვაზე უარი ვთქვი და იქ აღარ დამედგომებოდა, მას დახმარება ვთხოვე. საბასუხოდ – რამდენიმე წლის ასაკის შვილიშვილების (ჩემი შვილების) წყევლა-კრულვა მივიღე... ასეთი ებიზოდი, ვინ მოსთვლის რამდენი იყო... დაახლოებით 10 წლის ასაკიდან სიცრუის, ბოროტების, სისასტიკის და სიძულვილის გარდა, თითქმის არაფერი მინახავს მისგან... მახსოვს, როდესაც საქართველოში ჩამოვედი 21 წლის ასაკში, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მან ყველაფერი გააკეთა, რათა ხელი შეეშალა ჩემთვის აქ გასაჩერებლად: ჩემი კონკურენტიაო, აცხადებდა.

სწორედ მისი დამსახურება იხილ, რომ ჩემი უმცროსი ძმა გიორგი შევარდნაძის პოლიციაში, უფრო სწორედ, მღებრიშვილის ომში აღმოჩნდა. 18 წლის ბიჭი, რომელიც მან სიყვარულის გულისთვის ქუჩაში გააგდო, რითაც ოსტატურად ისარგებ-

ლა გარს შემოგვეულმა თარგამაძე-ალავიძის აგენტურამ...

როდესაც ცხიდან გამოვედი და ცოტა ხანში შევეხმიანე საკუთარი ტანსაცმლის და ნივთების წაშლას, მან პოლიციაში დარეკა და ცხიდან ორიოდე კვირის გამოსულ კაცს ამ საკითხზე განმარტებების მიცემა მომიწია...

მან ფაქტობრივად გამძარცვა და დავრჩი ერთი ხელი ტანსაცმლის ამარა...

დღეს მანანა არჩვაძე უკვე მერამდენედ სასამართლოში მიჩივის, ყველანაირი ხერხით ცდილობს მამაჩემის დანატოვარი თუ ჩემს მიერ შეძენილი ქონების მითვისებას და ამავდროულად, აქტიურად საუბრობს „ოჯახის სახელით“. გიორგი გამსახურდიას მან უკვე გადააფორმებინა საკუთარ სახელზე მისი წილი „კოლხურ კოშკში“. მამაჩემს ყოველნაირი სიყალბეა და სიბინძურე, შეაქვს განცხადებები პოლიციაში, სასამართლოში და ასე შემდეგ. გარდა ამისა, აქვე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მის მიერ ოჯახისთვის სახელმწიფოსგან მიღებული სოლიდური თანხებიდან არცერთი თეთრი არ მიმიღია და არც მქონია ამის სურვილი მკურნალობის ხარჯებსაც საკუთარი სახსრებით ვაფინანსებ, გარდა ინტერფერონის პროგრამისა, სადაც ჯანდაცვის სამინისტრო რეალურად დაემხმარა.

ძალიან გამიგრძელდა და ძალიან მიმიყვარს ჩემთვის ამ ყველაფრის დანერა...

თუმცა ეს მხოლოდ მცირე ნაწილია რეალობისა. ვიცი, ვილატას ეწყინება, ვილატას – პირიქით. ჩემი მიზანი კი ამჟამად მხოლოდ ერთია: ადეკვატური წარმოდგენა ჰქონდეს საზოგადოებას და ამ ადამიანის ქმედებები თუ სიტყვები არ ასოცირდებოდეს ჩვენს ოჯახთან. დიას, გამსახურდიების ოჯახი აღარ არსებობს! ამაში ალბათ ჩემი წვლილიც არის: სამწუხაროდ, ოციოდე წლის ბიჭს არ მეყო ცოდნა, ძალა და გამოცდილება, თუ საერთოდ შემქმნელი პროცესების სხვანაირად წარმართვა...

საბედნიეროდ, დღეს შემიძლია ამ ყველაფერთან გამკლავება, თუმცა ეს ყველაფერი არცთუ ადეკვატური იყო თუნდაც წელიწადნახევრის წინ, როცა კარის გაღების ძალაც კი არ მქონდა...

**მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება** აცხადებს კონკურსს საბუნებისმეტყველო და ტექნიკის მეცნიერებათა ისტორიისადმი მიძღვნილ საუკეთესო ნაშრომზე.

საკონკურსო საბუთების შეტანის ვადაა ოთხშაბათი, 2014 წლის 5 ნოემბერი, 15 სთ.


კონკურსის პირობების გასარკვევად, გთხოვთ, დარეკოთ: 236 53 17 ან 599 180 108.

**მისამართი:** თბილისი, კოსტავას ქ. №77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, IV კორპუსი, II სართული, ოთახი 218, მეცნიერების ისტორიის საზოგადოება.

დღესასწაული

სვეტიცხოვლობა

14 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი წმიდა სამოციქულო ეკლესია დღესასწაულებს საუფლოისა და კვართისა და ღვთაებრივ ბრწყინვალე მთავარმთავარ სვეტიცხოვლისა ბრწყინვალე დღეს, ასევე მცხეთობა-სვეტიცხოვლობას, საფარველისა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, სამოციქულოთა სწორისა მეფისა მირიანისა და დედუფლისა ნანასი, წმინდა სიდონისა და აბიათარ მღვდელისა, ურიაყოფილისა, საქართველოს პირველი კათალიკოს-პატრიარქისა, სვეტიცხოვლის გამამშვენებელ-განმანათლებლის, წმიდისა მელქისედეკ პირველისა.



საქართველოში არსებულ სინამდვილას შორის ყველაზე დიდი სვეტიცხოველია. სვეტიცხოვლის ტაძარი IV საუკუნეში აუგიათ. ხის ტაძარში, მშენებლობისას, თურმე ერთი სვეტი ვერაფრით ჩაასვეს მიწაში, მაგრამ წმინდა ნინოს ლოცვით ანგელოზმა ზეცად აიტაცა სვეტი, მერე კი ის, ღვთაებრივი ნათლით შემოსილი ნელ-ნელა დაეშვა დაბლა და ზუსტად იმ ადგილას გაჩერდა, სადაც უფლის კვართია დაფლული. მის გარშემო აიგო სვეტიცხოვლის ტაძარი.

სვეტიცხოველთან დაკავშირებით განსაკუთრებულ სადღესასწაულო წირვა-ლოცვას აღავლენენ მღვდელ-მსახურნი იმ დიდ ტაძარში, სადაც წინა წლის გაზაფხულზე მირონი მოიხარშა, სადაც ერთ-ერთ კედელზე სასწაულმოქმედი ნიკოლოზის ხატი გამოიხატა, სადაც საქართველოს გაბრწყინება გაცხადებული... სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს: „...მჯერა, საქართველო გაუძლებს ყოველგვარ გაჭირვებას, მტრის ზენოლას, საქართველო გაუძლებს თვით ანტიქრისტიანულ შეშფოთებას, რადგან ჩვენი გული გონება და სული ღვთის რწმენით იქნება აღვსილი და იგი იქნება განმსაზღვრელი ჩვენი ყოფისა, აზროვნებისა და მოქმედებისა...“

სრულიად საქართველოს შეენიოს სვეტიცხოვლობის მადლი! გიული ლიპარტიანი

საპატრიარქოს დღესასწაულზე თბილისის-მცხეთის-თბილისის მიმართული უფასო მატარებელი იმორჩაბებს

როგორც „საპატრიარქოს რაინიგზიდან“ იტყობინებინან მგზავრობა უფასო იმდებ.

თბილისის ცენტრალური ვაგზიდან მატარებლები გავა შემდეგი განრიგით: 09.05 სთ, 11.00 სთ, 13.00 სთ, 16.00 სთ, 17.30 სთ და 20.00 სთ. ხოლო მცხეთიდან თბილისის მიმართულ მატარებლები დაბრუნდება შემდეგი განრიგის შესაბამისად: 09.50 სთ, 11.45 სთ, 13.45 სთ, 16.45 სთ, 18.15 სთ და 21.00 სთ.

დავა

რითი და რისთვის აპირებს ტელეკომპანიის დასჯას ბენეჩალი?

თბილისის საქალაქო სასამართლომ სამაჟინგო კომპანია „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ, გენერალ კობა კობალაძის სარჩელის განხილვა დაიწყო. საქმე ეხება 2014 წლის 1 თებერვალს „კურიერში“ გასულ ინფორმაციას, სადაც კობალაძე სამშობლოს ღალატშია დადანიშნული და მუხროვანის ამბოხების ერთ-ერთ ორგანიზატორად არის დასახელებული. პროცესზე მოპასუხე მხარემ წაწილობრივ ცნო სარჩელი და დადასტურა, რომ ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, თუმცა, „რუსთავი-2“-მ მომხდარს ჟურნალისტის შეცდომას უკავშირებს. მომდევნო სასამართლო 7 ნოემბერს არის ჩანიშნული.

ბალაძის სასარგებლოდ 1 მილიონის გადახდას ითხოვს, გარდა ამისა, ითხოვს 9-საათიან „კურიერში“ გამოაქვეყნოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც დადასტურდება მოპასუხის მიერ გაკრედილებული ინფორმაციის ცილისმწამებლური ხასიათი.

კობა კობალაძე „რუსთავი-2“-სგან 1 მილიონ იოსოვს

თავად კობალაძე ამბობს, რომ მისი სახელი და გვარი მიზანმიმართულად ახსენეს სიუჟეტში.

„მომისხინეს არა მარტო ქვეყნის მოლატაქედ, თურმე მე ვემსახურები ვიღაცა ძალებს. ოჯახი მყავს, რომლებმაც ეს ძალიან განიცადეს. სწორედ, რომ ამან გადაამწყვეტინა პასუხისმგებლობის ფორმაში ჩამეყენებინა ის ჯგუფი, რომლისთვისაც ღირებული არაა ადამიანური ფასეულობები. მიზანმიმართულად მოხდა ჩემი დისკრედიტაცია და საქმიანი რეპუტაციის შელახვა. ამ ნეგატიური ნიაღვრის ფონზე გადაწყვიტე, სიმართლის ძალით ვაიძულო ტელეკომპანია, კონკრეტული არითმეტიკით მოახდინოს თუნდაც ქველმოქმედება იმ მოქალაქეების სასარგებლოდ, რომლებიც დაზარალებულნი არიან.“

როგორც კობალაძის ადვოკატი ემზარ პაქსაძე for.ge-სთან საუბრისას აცხადებს „რუსთავი-2“-ის ეთერით გადაცემული სიუჟეტი თავიდან ბოლომდე სიცრუეზე იყო აგებული „მოდელირებული ქრონიკის“ ანალოგი გახლდათ და გენერალ კობა კობალაძის დისკრედიტაციისკენ იყო მიმართული.

ის, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს არანაირი შეხება არ ჰქონია აღნიშნულ ამბოხთან, ეს დადასტურდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 11 იანვრის განაჩენით, რომელიც უპრეცედენტო იყო იმ დროისათვის. საც კი, და რომლითაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი კობა კობალაძე გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში და გათავისუფლდა სასამართლო დარბაზიდან“, - აცხადებს ემზარ პაქსაძე.

დაცვის მხარე სამაჟინგო კომპანია „რუსთავი-2“-სგან მიყენებული არაქონებრივი ზიანისათვის კობა კობალაძისგან 1 მილიონ იოსოვს

არ ვსაუბრობ მორალურ მხარეზე, მე მათთან ვსაუბრობ ეკონომიკურ მხარეზე. ვხედავ, რომ მათთვის ამ ეტაპზე ყველაზე დიდი დასასჯელი მექანიზმი იქნება სწორედ ის, რომ ვიღაცა დაელაპარაკება ეკონომიკაზე და არა მორალზე. ტელეკომპანიისგან ვითხოვ 1 მილიონ ლარს, დანარჩენი სასამართლოს გადასაწყვეტია“, - აცხადებს for.ge-სთან საუბრისას კობა კობალაძე.

თამაზა ძარჩავა

ჩვენი გავითის შედეგი ნოემბრი გათვა სუთაგათს, 16 ოქტომბერს

ყურადღება 2014 წლის 17 ოქტომბერს (პარასკევს) 15 საათზე საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართება აკადემიკოს ალექსანდრე კუჭუხიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც მოხსენებით გამოვსა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა

ნახევრითა საყურადღებოდ! ეს არ არის რეკლამა! სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ ინფორმაციაა... პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დანყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

ცინცხალი ანეკდოტები - უკვე აღარ მინდა შენთან ერთად ცხოვრება, მოდი, განვქორწინდეთ! - ეუბნება ცოლი ქმარს. - ორივე რქით გიჭერ მხარს, ძვირფასო!!! \* \* \* კბრზე ზარი ირეკება. მიხო ალებს. ზღურბლთან ცელიანი სიკვდილი დგას. - ოი, რამდენი ხანი გელოდებით, შემოდით, სიდედრი სამზარეულოშია. \* \* \* - დაბასხმული ერთი ისეთი კითხვა, რომელზე პასუხიც ერთდროულად უარის გამოხატველიც იქნება, თანხმობისაც, კითხვისაც და აღტაცებისაც, - ამბობს ფილოლოგიის მეცნიერი. - ძალიან იოლია. „არაყს დაღვე?“ - „არა, ბიჭო!“ \* \* \* - მოწი, რა ხდება? გავიგე, რომ უკვე მეოთხედ განქორწინებულხარ. ნუთუ ყველა ქალი წუნია გამოდგა? - არა, მხოლოდ დედაჩემი. \* \* \* - მე თევზს არ ვჭამ. - რატომ? - იმიტომ, რომ თევზები ოკეანეში შარდავენ. - ბავშვებიც ასე იქცევიან. - ჰოდა, არც ბავშვებს ვჭამ.

მეუღლე მარიამ (მაგული) ლორია, შვილი მანანა კიკილაშვილი, შვილიშვილი საბა გურგენიძე ღრმა მწუხარებით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა რაჟდენ კიკილაშვილი დაკრძალვა 13 X, 14 სთ. მისამართი ვაჟა-ფშაველას 104, კვ. 6, სად. I. ნათესავები და მეგობრები ნოდარ, ოლიკო, ელიკო, კაკო ზედელაშვილები, დავით, ნინო ბაგრატიშვილები, ნუგზარ წერეთელი, ვლადიმერ (ვივა) ცინცაძე, დემნა, ედიშერ რჩეულიშვილებისა და ლეო დოღმაშვილის ოჯახები ღრმა მწუხარებით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი და სამაგალითო პიროვნება, ტრანსპორტისა და მშენებლობის გამოჩენილი მუშაკი რაჟდენ (რაჟიკო) კიკილაშვილი და გულწრფელ თანაგრძობას უცხადებენ მის მეუღლესა და ქალიშვილს. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ ღრმა მწუხარებით იუნყება თვისი ძველი და ერთგული მკითხველის, ცნობილი ტრანსპორტელის რაჟდენ კიკილაშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ავტორთა საყურადღებოდ! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები. საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA გ. ანკვლიანის (მთვინი) პერომსკიანის) ძ. 19 ინდექსი 66434 გამომცემლობა: შპს „თანამშრომლობა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) uac(უაქ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851 9 772233 1385001 მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსნი 599 17-21-21; სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24